ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 28 თებერვალი, 2013 №49 (6050) ფასი: 30 თეთრი

27 თებერვლიდან!

„ახალი თაობა“
+
მაო ძედუნი
8 ლარი




# ვინ და რატომ უხდიდა ჩიორა თაქთაქიშვილს და მაგდა ანიკაშვილს მილიონებს



გვ.3

სკანდალში დავით ბაქრაძის მეუღლეც გარია



## სააკაშვილმა ტყუილი აღიარა



გვ.3

## მიხეილ სააკაშვილმა ავტომანქანით ღერძულა ხაზი გადაკვეთა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ავტოსაგზო წესების დარღვევის გამო შესაძლოა, 100 ლარით დააჯარიმონ. ეს მოსაზრება ქართულ ინტერნეტ-ფორუმებზე გამოითქვა.

როგორც ცნობილია, გუშინ პრეზიდენტი მეუღლესთან ერთად თბილისის საერთაშორისო აეროპორტში „ნისანის“ მარკის ელექტრომობილით დაცვის გარეშე მივიდა. ელექტრომობილს თვითონ სააკაშვილი მართავდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან თბილისის საერთაშორისო აეროპორტამდე სააკაშვილის მანქანით გადაადგილების ამსახველი დაახლოებით 6-წუთიანი ვიდეო პრეზიდენტის პრესსამსახურმა გაავრცელა.

სოციალური ქსელების მომხმარებლებმა შენიშნეს, რომ ზემოხსენებული ვიდეოს დაახლოებით 01:03 წუთზე ჩანს, რომ პრეზიდენტის ავტომანქანამ ჩიქობავას ქუჩაზე, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, გზაზე ღერძულა ხაზი გადაკვეთა, რაც 100 ლარიანი ჯარიმით ისჯება.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტი მანქანით თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მივიდა, საიდანაც ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანში გაემგზავრა.

**მედიანიუსი**





გვ.5

## გოგა ხაინდრავა: „სააკაშვილი პროვოკაციაზე ვერ წამოგვაგებს“



გვ.4

## როდის ექნება ნაციონალებთან დიალოგს აზრი?

## გია ცაგარეიშვილი: „ევროპარლამენტი სერგო თეთრაძის საქმით უნდა დაინტერესდეს“

გვ.3



## მამუკა გიორგაძე: „პროკურორი საჯარო პოლიტიკურ შეფასებებს უნდა მოერიდოს“

გვ.2



2 ირაკლი ღარიბაშვილი: პოლიცია საკუთარ ხალხს უნდა ემსახურებოდეს და არა ერთ კონკრეტულ ინდივიდს“

4 რუსი ექსპერტები ქართული ღვინოების შესწავლას გააგრძელებენ

4 ბესიკ ტაბატაძე: „გულდასაწყვეტია, როდესაც ქალბატონი ჩიორას ცხვირი ვილაცისთვის გაცილებით მეტ ღირებულებას წარმოადგენს, ვიდრე ადამიანების სიცოცხლე“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# მამუკა გიორგაძე: „პროკურორი საჯარო პოლიტიკურ შეფასებებს უნდა მოერიდოს“

## რატომ ითვლება ნაციონალური მოძრაობა ერთადერთ ოპოზიციურ ძალად

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე მამუკა გიორგაძესთან

***— როგორ შეაფასებთ სასამართლოს გადაწყვეტილებას უგულავას მიმართ?***

— სამწუხაროა, რომ ახალი ხელისუფლება საშუალებას აძლევს უგულავას, თავი წარმოაჩინოს როგორც მსხვერპლმა, საერთაშორისო ორგანიზაციებში მიაწვდინოს ხმა როგორც დაჩაგრულმა და მიიღოს მაქსიმალური დივიდენდები, რაც შესაძლებელია. არადამაჯერებელია ის არგუმენტები, რომელიც წარდგენილი იყო უგულავასთან მიმართებაში, სასურველი იქნებოდა, უფრო მეტად არგუმენტირებული და გასაგები ყოფილიყო ბრალდება და არ მიგვეცა უგულავასთვის პიარის საშუალება, ნუ დავიჯერებთ იმას, რომ დღეს ხელისუფლებას არ გააჩნია უფრო სერიოზული და წონადი არგუმენტები უგულავას დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით.

***— საზოგადოებაში იმის გამო, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ფერხდება, უკმაყოფილება იზრდება, ამას ყოველდღიურად ვხედავთ. გახმაურებული საქმეები, რომლის მიმართ იყო მოლოდინი, რომ სამართალი დადგებოდა, ჯერჯერობით კითხვის ნიშნების ქვეშ მიმდინარეობს. ამასობაში ვიღებთ ორ არჩევანს, რის წინაშეც დგება საზოგადოება, ეს არის ლინჩის წესი, რომელიც მიუღებელია ცივილიზებული სამყაროსთვის და მეორე, საზოგადოება შეიძლება ღრმა დეპრესიაში ჩავარდეს. თქვენ ხედავთ ამ საფრთხეებს?***

— არის საფრთხე, ქართველი საზოგადოება დღევანდელ ხელისუფლებას ანდობს იმ საქმეების შესწავლას, რომელსაც სჭირდება გარკვეული ვადა, ეკონომიკური რეფორმების საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას სჭირდება დრო, სერიოზული მუშაობა, საზოგადოება ამ საკითხს შეგნებით უდგება და არ სთხოვს ქართული ოცნების მხრიდან ნაკისრ ვალდებულებას სოციალური მდგომარეობის მყისიერად გამოსწორების შესახებ, ძირითად პროდუქტებზე ფასები თითქმის იგივეა, გაზის ტარიფი დროებით შემცირდა და ისიც მცირე რაოდენობით. საზოგადოება სთხოვს იმას, რისი მოგვარებაც მარტივად შეიძლება მოკლე დროში. როცა ვაღიარეთ, რომ ცხრა წლის განმავლობაში დანაშაულებრივი რეჟიმი მართავდა სახელმწიფოს, ვერ ვნახეთ ვერც ერთი მნიშვნელოვანი პერსონა გისოსებს მიღმა შესაბამისი არგუმენტაციით, გარდა ახალაიასი, რომელიც თავისი ნებით ჩამოვიდა და მის მიმართაც არ არის მნიშვნელოვანი ბრალდება. აქედან გამომდინარე დგება საკითხი, რომ ხელისუფლება არ ან ვერ აგვარებს ამას, ან პროფესიონალიზმი არ ჰყოფნის, ან პოლიტიკური ნება, რომ ყველას მიაკუთვნოს შესაბამისი ადგილი, რომელსაც ის იმსახურებს. რა უშლის ხელს იმას, რომ შეფასდეს ნაცმოძრაობის პოლიტიკური საქმიანობა, ამას არ სჭირდება არც ფინანსები, არც რაიმე მნიშვნელოვანი ქმედებები, საზოგადოებაში დაგროვილია მასალები, საბრალდებო დასკვნა დაწერა გელა ნიკოლეიშვილმა, სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს გამოქვეყნებული ჰქონდათ შეფასებითი ნაწილი, ის რომ ნაცმოძრაობა დანაშაულებრივი ორგანიზაციაა, და პოლიტიკური შეფასება მივცეთ 2003-2012 წლების მოვლენებს, ეს არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს. არც პოლიტიკური და არც სამართლებრივი შეფასება არ არის მიცემული და ეს იწვევს საზოგადოების სერიოზულ გაღიზიანებას. ჩნდება ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ ხელისუფლება ნაცმოძრაობის მიმართ ქმედებებს ქვეყნის გაჯანსაღების პროცესს კი არ აბამს, არამედ აბამს ელიტის შეცვლის მიმდინარე პროცესებს, მონოპოლისტური პოლიტიკური გარემოს შექმნის პროცესს, რაც ძალიან სამწუხაროა, და აძლევს ნაცმოძრაობას იმის საშუალებას, რომ ის დამკვიდრდეს ერთადერთ ოპოზიციურ ძალად ქართულ პოლიტიკურ სპექტრში. ეს საშიში ტენდენციაა. როცა ვამბობთ, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მდგრადობასა და მშვიდობას განაპირობებს




პოლიტიკურ ძალთა წონასწორობა და ერთ მხარეს არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, ასეთი მშვიდობა ყოველთვის იქნება ძალიან მყიფე და საშიში საქართველოს მომავლისთვის. შესაძლებელია რეფორმების გზაზე ხელისუფლებას დასჭირდეს არაპოპულარული ნაბიჯების გადადგმა, საზოგადოება ამ ორ დიდ არჩევანს შორის სამწუხაროდ მესამე არჩევანს მიიღებს, მიიჩნევს რა, რომ ოცნება არაფრით უკეთესი არ არის ნაცმოძრაობაზე და სიმპათიები გადაიხაროს ნაცმოძრაობის რეანიმირების მიმართულებით. იმის ნაცვლად, რომ ვსაუბრობდეთ ნაცმოძრაობის პოლიტიკურ შეფასებაზე, ვსაუბრობდეთ იმ პროექტებზე, რომელიც საქართველომ უნდა განახორციელოს, ჩვენ ვდავობთ, პირველად დავითაშვილმა დაარტყა რატიანს თუ რატიანმა დავითაშვილს. იმაზე ვკამათობთ, დაიბარებენ თუ არა ამა თუ იმ ჩინოსანს პროკურატურაში. ეს დაკითხვები მთავრდება იმით, რომ საზოგადოებაში ამ დაკითხვებს ირონიულად უკვე „შემოიხედე გენაცვალეს“ ეძახიან. ჩვენ გვესმის, რომ ხელისუფლებისთვის კომფორტულია ისეთ ძალასთან კამათი, როგორიც ნაცმოძრაობაა, მაგრამ ამ თამაშში შეიძლება ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება კიდევ უფრო არამდგრადი გახდეს და უფრო რთული პროცესები დაიწყოს ქვეყანაში.

***— საქართველოში არიან არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები, რომლებიც აქტიურად ვერ ერევიან ამ პროცესებში. მაგრამ რომ იყოს ხელისუფლების ნება, სხვა პარტიებიც და ასევე ექსპერტებიც მიიღებენ მონაწილეობას დისკუსიებში რეფორმებზე, საგარეო კურსსა და სხვა საკითხებზე, ნაცმოძრაობა ყოველდღიურად არავის გაახსენდება და უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით დავკავდებით.***

— დიახ, გეთანხმებით, სწორედ ამაშია საქმე, ნაცმოძრაობას ხელი ეწყობა ხელისუფლებისგან, რომ მან თავი წარმოაჩინოს, როგორც ერთადერთმა ოპოზიციურმა ძალამ. ნაცმოძრაობამ არჩევნების შემდეგ ოფიციალურად მიიღო ბიუჯეტიდან ერთი მილიონი ლარის დაფინანსება და ასევე ოფიციალურად მიიღებს ყოველთვიურად დაფინანსებას როგორც პარლამენტში წარმოდგენილი ძალა. ჩვენ ვაფინანსებთ დღეს ხელისუფლებაში მყოფ ნაცმოძრაობას და ვამყარებთ მის მდგომარეობას, როგორც ერთადერთი პოლიტიკური ძალისას. ესენი ამას იყენებენ და თავს წარმოაჩენენ როგორც დაჩაგრული პარტიის წარმომადგენლები. ხელისუფლება კი იმის მაგივრად, რომ გახსნას საჯარო სივრცე, ამ სივრცეში რეალურად მოქმედი პოლიტიკური ძალებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი გამოცდილება, ცოდნა, პოლიტიკური სტატუსი, ამ დროს ოპოზიციურ სპექტრში ნაცმოძრაობა აღარ ჩანდეს როგორც ერთადერთი, ხელისუფლება ინარჩუნებს პოლიტიკაში მონოპოლისტურ გარემოს და არ იძლევა პოლიტიკური სივრცის შეცვლის საშუალებას. როცა სახალხო პარტია დააყენებს პრეტენზიებს ნაცმოძრაობასთან, ამათ ექნებათ იმის შესაძლებლობა, რომ ხელისუფლებიდან დევნილად წარმოაჩინოს თავი. ასევე დაფიქრდება ევროპის სახალხო პარტია, რომელიც დღეს აშკარად იცავს ნაცმოძრაობას, რომ მისი სახელწოდების მატარებელი პარტია საქართველოდან გარკვეულ პრეტენზიებს წამოაყენებს ნაცმოძრაობის მიმართ, ევროპელი სახალხოელები ნაციონალებს აღარ დაიცავენ. ევროპა შეშფოთებით უყურებს იმ პროცესს, რომ დღევანდელი ხელისუფლება პოლიტიკის მონოპოლიზებას ახდენს, ასევე კარგად იციან სააკაშვილის ჭეშმარიტი ბუნება, ის ცდილობს მაინც შეინარჩუნოს მეორე პოლუსი. ხელისუფლება ეხმარება ნაცმოძრაობას, რომ საერთაშორისო დონეზე შეინარჩუნოს საპირწონის სტატუსი. ასეთი პრაქტიკა არსებობს უკრაინაში, ტიმოშენკოს, სავარაუდოდ, დანაშაული ჩადენილი აქვს, მაგრამ იანუკოვიჩმა რომ ბოლომდე არ მოახდინოს პოლიტიკური სივრცის მონოპოლიზება, ამიტომ იცავენ ტიმოშენკოს, ზუსტად ასეა საქართველოში. თუ ხელისუფლება გახსნის საჯარო სივრცეს, თუ დაანახებს მსოფლიოს, რომ არ ქმნის მონოპოლისტურ პოლიტიკურ გარემოს, თუ დაანახებს მსოფლიოს, რომ აქ ბრძოლა ელიტის ცვლილებისთვის კი არ მიდის, არამედ პოლიტიკური სივრცის გახსნისთვის, მსოფლიო ირწმუნებს, რომ პროცესები ჯანსაღად მიდის და ნაცმოძრაობის თემა აღარ იქნება ასე აქტუალური. შესაძლებელი გახდება განხორციელება იმ ქმედებებისა ნაცმოძრაობის მიმართ, რომელსაც ის იმსახურებს.

***— ნაცმოძრაობა გრძნობს, რომ ის ტივტივებს ზედაპირზე და ამიტომ იგონებს გაურკვეველ თარიღებს, მაგალითად, ახლა 19 აპრილი გახდა ლამის აპოკალიფსური თარიღი, იწვევს საზოგადოებას, საგარეო ვექტორი იცვლება რუსეთისკენ და ჩვენ ქვეყანა ამისგან უნდა ვიხსნათო. როგორ შეაფასებთ ამ თარიღს?***

— კარგად გვახსოვს ეროვნული ფორუმის მიერ დაანონსებული მილიონთა მარში 4 ნოემბერს, კარგად გვახსოვს 9 აპრილი. მერე ვისაც რა უნდა, რა ფანტაზიის უნარი აქვს, იმის მიხედვით უნდა მიაბას მოვლენების განვითარება. ახლა ჩვენ ორი თვე უნდა ვისაუბროთ იმაზე, აბა, რისი თქმა უნდათ, აპირებს თუ არა სააკაშვილი პარლამენტის გაშვებას. ნაცმოძრაობის ორთვიან აქტიურობას გარანტირებულს ვხდით. ნებისმიერ ქმედებას 19 აპრილამდე ნაცმოძრაობა მის მიმართ დევნად გამოაცხადებს. რომელ პროდასავლურ კურსზე ლაპარაკობს ნაცმოძრაობა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველოში რუსული გავლენა გაძლიერებულიყო. ხელისუფლება უნდა იყოს დაკავებული კონკრეტული ბრალდებებით, სარჩელებით, საქმეებით, პროკურორი კი უნდა მოერიდოს ტელევიზიით პოლიტიკურ შეფასებებს. საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი თაღლითის ჯოზეფ კეის თუ კაკიაშვილის ჩვენების გამო უგულავას ბრალს არ უნდა უყენებდნენ. არ არის სოლიდური ეს საქმე, ნუთუ უფრო სოლიდური საქმე არ მოიძებნა უგულავას წინააღმდეგ. ტელეკომპანია იმედის წართმევა კანონიერი მფლობელისთვის ეს დანაშაულია, მაგრამ ერთ-ერთი და არა ერთადერთი. მერიას და ნაცმოძრაობას, კარგად თუ იმუშავებენ, იმაზე უფრო სერიოზულ დარღვევებს უპოვიან.

***— ჩვენს მთავრობაში მილიონებს არავინ აკეთებდაო, - განაცხადა სააკაშვილმა. ეს არ არის უცნაური განცხადება, როცა ჯონდი ბაღათურიამ მდიდრული სახლების და აგარაკების ფოტოები მას ცხვირწინ აუფრიალა?***

— დიახ, მაგრამ ბრალდება ეხება თაღლითობას ანუ უგულავამ სახლში კი არ წაიღო თითქოს ეს მილიონები, არამედ მოახმარა ნაცმოძრაობის აქტივის დასაქმებას, ფულის მითვისებას ადგილი არ ჰქონია. უფრო სერიოზული საქმეები უნდა იყოს წამოწეული, რომ სათქმელი არ ჰქონდეთ, არც ერთი თეთრი არ წაგვიღია სახლში და უკანონობაში ვერ შეგვედავებიანო.

## ირაკლი ღარიბაშვილი: პოლიცია საკუთარ ხალხს უნდა ემსახურებოდეს და არა ერთ კონკრეტულ ინდივიდს“



შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საპატრულო პოლიცია, წინა მთავრობის მმართველობის პერიოდისგან განსხვავებით, ხალხზე უნდა იყოს ორიენტირებული და პოლიტიკურ დაკვეთებს არ უნდა ასრულებდეს.

ეს განცხადება ღარიბაშვილმა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტებთან შეხვედრის დროს გააკეთა.

„პირველი დავალება რაც მე პატრულს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს და მის ხელმძღვანელობას მივეცი, იყო ის, რომ წესების დარღვევის შემთხვევაში, გააჩერეთ და დააჯარიმეთ ყველა, განურჩევლად მათი თანამდებობისა. საპატრულო პოლიციის პროექტი, თანამედროვე, მოდერნიზებული ქართული პოლიციისთვის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია. პატრულის პროექტი სრულად ბიძინა ივანიშვილის მიერაა დაფინანსებული.

ჩვენ არ ვაპირებთ ბევრი რამის შეცვლას, მე ძალიან ბევრი რამ მომეწონა რისი გაუმჯობესებაც შეიძლება. თუმცა არის ძალიან ბევრი ნაკლოვანებაც. ეს არის კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, სოდი თუ სხვა, რომლებიც რეალურად, მათზე დაკისრებულ მოვალეობებს არ ასრულებდნენ, ისინი ასრულებდნენ პირდაპირ პოლიტიკურ დაკვეთებს. ეს ჩვენთვის მიუღებელია. რეალურად პოლიცია უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებაზე ორიენტირებული. პოლიცია უნდა ემსახურებოდეს საკუთარ ხალხს და არა ერთ კონკრეტულ ინდივიდს ან რომელიმე პარტიას. ეს არის ძირითადი განსხვავება წინა მთავრობასა და ახალ მთავრობას შორის. საზოგადოებამ პოლიციელთა მიმართ ნდობა დაკარგა. საზოგადოებას არ უნდა ეშინოდეს პოლიციელის, პირიქით, მათი იმედი უნდა ჰქონდეთ“-განაცხადა ღარიბაშვილმა.

ნიუსპრესი

## გიორგი კობახიძე: „რომ არ ყოფილიყო, 26 მაისი არ იქნებოდა 1 ოქტომბერი“



პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ მთავარი საბჭოს წევრის გიორგი კობახიძის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის განმსაზღვრელი სწორედ 26 მაისი გახდა.

„რომ არ ყოფილიყო 26 მაისი არ იქნებოდა 1 ოქტომბერი. მე ამას სრული პასუხისმგებლობით ვამბობ და ამაყი ვარ რომ ამას ასე მარტო მე და ჩემი მეგობრები არ ვთვლით. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის ერთ-ერთი განმსაზღვრელი იყო სწორედ 26 მაისი და ამ თარიღს ის ხშირად ახსენებდა კიდეც.

რაც შეეხება თავად 26 მაისის მოვლენების გამოძიებას, ვთვლი, რომ პირველ რიგში პასუხი ამ სადამსჯელო ოპერაციის დამგეგმავებმა უნდა აგონ, რადგან ეს ოპერაცია იყო გათვლილი მსხვერპლზე და გაუგონარ სისასტიკეზე. დამგეგმავების შემდეგ კი, პასუხი ამ ოპერაციის განმახორციელებლებსაც უნდა მოეთხოვოს“ - განაცხადა გიორგი კობახიძემ.

მანვე იმედი გამოთქვა, რომ 26 მაისის მოვლენები სრულად იქნება გამოძიებული და ყველა დამნაშავე სათანადოდ დაისჯება.

შეგახსენებთ, რომ 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, მთავარ პროკურატურას ჩვენება გუშინ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა - ნინო ბურჯანაძემ მისცა.

ნიუსპრესი

## მიხეილ სააკაშვილი და ილჰამ ალიევი ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავის აზერბაიჯანელ კოლეგას შეხვდა.

პრეზიდენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ბაქოში, ზუგულბას სასახლეში, დახვედრის ოფიციალური ცერემონიალის შემდეგ, საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ. მიხეილ სააკაშვილმა და ილჰამ ალიევმა ორმხრივ ურთიერთობაზე ისაუბრეს და სამომავლო თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს. პრეზიდენტის ვიზიტი აზერბაიჯანში, დღეს დასრულდება.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გია ცაგარეიშვილი: „ევროპარლამენტი სერგო თეთრაძის საქმით უნდა დაინტერესდეს“

## რატომ არ ადარდებს უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს გოგა ხაჩიძის გამოხტომები

**საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, გია ცაგარეიშვილმა, წინა კვირას ნაციონალებს პირობა მისცა, რომ სერგო თეთრაძის საქმეს ევროპარლამენტარებს გადაუგზავნიდა. საქართველოს შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებმა წამებით მოკლეს. ზეწოლაზე მოწუწუნე ნაციონალებს ერთხელაც არ შეუწუხებიათ თავი ამ ტრაგედიის გამო.**

**ცაგარეიშვილმა ნაცმოძს დანაპირები გუშინ აუსრულა და სერგო თეთრაძის საქმე ევროპარლამენტარებს ელექტრონული ფოსტით გადაუგზავნა, თან დაურთო ფოტომასალაც.**

**რატომ გახდა ამ მასალის გაგზავნა აუცილებელი, რატომ აღარ აპირებს „ქართული ოცნება“ ნაციონალების ტყუილების იგნორირებას, რატომ არ არის გოგა ხაჩიძისგან კრიტიკა საწყენი, ამ თემებზე გია ცაგარეიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.**

შორენა მარსაგიშვილი

***— თქვენ ევროპარლამენტის წევრებს სერგო თეთრაძის საქმე გაუგზავნეთ. ამ საქმის გაცნობის შემდეგ, თქვენივე სიტყვებითვე რომ ვთქვათ, შეეშვებიან ევროპელები ეშმაკის ადვოკატობას?***

— ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ეს ხალხი ჭეშმარიტების გზას დაადგეს. ჩვენ უკვე 9 წელია ვუყურებთ, თუ როგორ აფარებენ ევროპელები სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს ხელს. ეს ყველაფერი სახელს უტეხს ევროპულ იდეალებს. ეს ნამდვილად არ მიხარია. არც ის მომწონს, როცა ჩვენს ევროპელ კოლეგებზე საქართველოში უკვე ხელის აქნევით საუბრობენ. სამწუხაროდ, ეს ხალხი ლობირებს სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს და არა საქართველოს. ძალიან ცუდ ტონად მეჩვენება ჩვენს საშინაო საქმეებში ევროსტრუქტურების ჩართვა. გარწმუნებთ, ეს არც „ქართულ ოცნებას“ წაადგება და არც ნაციონალურ მოძრაობას. პირველ რიგში კი, ჩემს ქვეყანას დააზარალებს.

***— რატომ ერევა ასე აქტიურად ევროპა ჩვენს შიდა საქმეებში?***

— სააკაშვილის გადამკიდე ევროსტრუქტურები შიდა პოლიტიკურ გარჩევებში ხშირად მხარედ გვევლინება. ევროპასა და ევროკავშირში შესვლა იმიტომ გვინდა, რომ დემოკრატიული იდეალები დავამკვიდროთ საქართველოში. ევროკავშირში იმის გამო ნამდვილად არ გვინდა შესვლა, რომ ამ სტრუქტურის წარმომადგენლები აქ არბიტრებად ჩამოვიყვანოთ. საქართველოში მოქმედმა პოლიტიკურმა ძალებმა უნდა მოვახდინოთ საქვეყნო ინტერესების ლობირება.

***— ბოლო პერიოდში „ქართული ოცნებაც“ გააქტიურდა ამ მიმართულებით.***

— „ქართული ოცნება“ მართლაც გადავიდა მოქმედების განსხვავებულ გეგმაზე. ჩვენ მართლაც ვაქტიურობთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ნაციონალების არც ერთ გამოხტომას ჩვენ უპასუხოდ აღარ დავტოვებთ. ყველამ კარგად ვნახეთ, რა მოხდა 26 თებერვალს ბრიუსელში. სააკაშვილის გაგზავნილი ემისრები იქ ღობე-ყორეს არიან მოდებული. თბილი სავარძლების დასაბრუნებლად და თავიანთი არქიფო სეთურის გადასარჩენად უკადრებელსაც კადრულობენ. გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი დელეგაციები ყველგან გავაძლიეროთ. 2 დღის წინ ნაციონალებს უკვე ჩავუგდეთ გეგმა. ერთ-ერთ რეზოლუციაში აპირებდნენ იმის ჩაწერას, თითქოს 8 თებერვალს დავარბიეთ რაღაც მიტინგი. ამას ითხოვს ის ხალხი, რომლებმაც 26 მაისს აქციის მონაწილეები გაწყვიტეს. სისხლიანი რუსთაველის გამზირი გადარეცხეს და თავიანთ მანიაკ პრეზიდენტთან ერთად ჩაატარეს სამხედრო აღლუმი. ეს კაცი ჯანმრთელად რომ ვერ არის, ამაში მისი 26 თებერვლის გამოსვლაც მეტყველებს. მთელი ქვეყანა ამ კაცის გაუთავებელ ბოდვას 2 საათის მანძილზე უყურებდა. და რა უბედურ დღეში ყოფილა ჩვენი ქვეყანა, ამაში ყველანი კიდევ ერთხელ დავრწმუნდით.

***— მოდით, ისევ სერგო თეთრაძის საქმეს დავუბრუნდეთ. რა რეაქციას ელოდებით ევროპელებისგან?***

— წინა კვირაში ნაციონალებს დავპირდი, რომ ამ საზარელი საქმის ამსახველ მასალებს ევროპაში გავაგზავნიდი. ეს გუშინ გავაკეთეთ. ევროპარლამენტის ყველა წევრს მიუვა ეს დოკუმენტაცია თავის



სურათებით. ბოლოში მინაწერიც გავაკეთე და ვწერ: იმედი მაქვს, რომ თქვენ გაიზიარებთ ოჯახის მწუხარებას, ჩამოხვალთ და მიუსამძიმრებთ. სერგო თეთრაძეს კარგის მეტი თავის სამშობლოსთვის არაფერი გაუკეთებია. ეს ადამიანი ყველგან იყო, სადაც საქართველოს უჭირდა, დაწყებული აფხაზეთიდან, სამაჩაბლოთი დამთავრებული. სერგო თეთრაძე იყო პროფესიონალი სამხედრო. ახალაიამ ასე დაუფასა მას ამაგი, მეგისა ქარდავასთან, სააკაშვილთან და ვიღაც მინაშვილ-კანდელაკებთან. ადამიანს წამებით ამოხადეს სული! მას შვილი ეზრდება, მისი ბიჭი 15 წლისაა. მივიდნენ ეს ნაძირლები და ამ ბავშვს ჩახედონ თვალებში. მივიდნენ და აუხსნან, რას ერჩოდნენ მამამისს. ეს ტრაგიკული ამბავი მარტო საქართველოსთვის არ უნდა იყოს ცნობილი. ამ საშინელებამ ევროპელებშიც უნდა აღძრას ემოციები. განსაკუთრებით იმათში, რომლებიც ჩამოფრინდებიან და სააკაშვილის დემოკრატიაზე გულისფანცქალით საუბრობენ.

***— ახლა ჩიორა თაქთაქიშვილის მონახულებაც შევიდა მათ დღის წესრიგში.***

— სწორედ მაგას ვამბობ. ისევე მოინახულონ სერგო თეთრაძის ოჯახი, როგორც ქალბატონი ჩიორა მოინახულეს. აქვე ვიტყვი, რომ ძალიან აღმაშფოთა იმ ამბავმა, რაც ჩიორას შეემთხვა. ეს მართლაც ცუდი ფაქტი იყო. ამაზე ძალიან აღშფოთებული ვარ, მაგრამ აბა, ერთი თუ გაიხსენებთ რომელიმე ნაციონალს, რომელიც სერგო თეთრაძის საქმეზე აღშფოთდა. მათ ხმა არც გირგვლიანის, რობაქიძის, ვაზაგაშვილის, გამცემლიძის და სხვა უდანაშაულო ბიჭების ამოხოცვის გამო ამოუღიათ. ასობით ჩვენი თანამემამულე მოკლეს წამებით და ერთხელაც კი არ აღშფოთებულან და არც აღშფოთდებიან.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ამ საზარელი საქმეების დამკვეთების მფარველები არიან.

***— ვინ გყავთ მხედველობაში?***

— მთელი ყოფილი უმრავლესობა. ახლა საპარლამენტო უმცირესობას წარმოადგენენ. რამდენიმე ადამიანის გარდა, ყველა ამ უბედურებების თანამონაწილეა. მე 10 წელი ვუყურებდი ამ ადამიანების ვიგინდარობას და ავაზაკობას. ჩემთვის ამ ადამიანებთან ურთიერთობა და კოჰაბიტაცია ძალიან ძნელია. მაგრამ ამას ვაკეთებ იმიტომ, რომ მიყვარს ჩემი სამშობლო. ამათ არ უყვართ თავისი სამშობლო. ეს კობა ხაბაზის ერთი განცხადებიდანაც კარგად ჩანს. მან თქვა: ჩემს პრეზიდენტს თუ დასჭირდა, იარაღსაც ავიღებ ხელშიო. ახლა მითხარით, ეს ნორმალურია?

***— რა თქმა უნდა, ნორმალური არ არის. მართალია ამ თემას არ ეხება, მაგრამ გოგა ხაჩიძეზე უნდა გკითხოთ, რას გერჩით ხაჩიძე? იმ დღეს ამბობდა, ცაგარეიშვილის ადგილი შევარდნაძის „გაიშიაო“.***

— გოგა ხაჩიძე გახლავთ: არშემდგარი ეკოლოგი, დაბადებიდან მუსიკოსი, ბელადებზე სიმღერების დამწერი, ტაშტების და დაფდაფების შემგროვებელი. ასეთ კაცზე რა გიპასუხოთ? ეს არის ადამიანი, რომელიც მინისტრობის დროს ველოსიპედით სეირნობდა სამინისტროს დერეფანში. თავისი კაბინეტის წინ ნახმარი პრეზერვატივების გამოფენა ჰქონდა მოწყობილი. წარმოდგენილი ჰქონდა როგორც მყარი ნარჩენების ერთ-ერთი ნიმუში. ასეთი ფაქტურის და გუნება-განწყობის ადამიანია. მე ვირისგან წიხლი არ მწყინს.

***— ასე დავწერო?***

— იმიტომ გეუბნებით, რომ დაწეროთ. ვირისგან ტლინკი როგორ უნდა გეწყინოს! თან მე შეურაცხყოფას არავის ვაყენებ. ეს არის ძველი ქართული გამოთქმა.

***— ასე ხშირად რატომ იხსენებენ თქვენს წარსულს?***

— ჩემი წარსულის ქექვა არის მათი საქმე. კარგა ხანია ქექავენ.

***— ჯერ არაფერი ამოუქექავთ?***

— ვერც ვერაფერს ამოქექავენ. ისე ვიცხოვრე, რომ დანაშაული არ ჩამდენია. არც ერთი ადამიანისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია. გაბაშვილებისგან, ხაჩიძეებისგან და წიკლაურებისგან განსხვავებით, ქვეყანაში თავისუფლად და თავაწეული დავდივარ. არც ქუჩაში გასვლის არ მეშინია. ადამიანს წარმოაჩენს საქმე. „ქართული ოცნება“ უამრავ საქმეს არის შეჭიდებული. ბატონმა ხაჩიძემ სოციალურ ქსელებში დედაკაცივით რაც არ უნდა ილაყბოს, ეს საქმეები ბოლომდე მივა.

***— ეს საქმეები ხაჩიძესაც ეხება?***

— ხაჩიძესთანაც მივალთ. მასაც ბევრი უკანონობა აქვს ჩადენილი. გარემოს დაცვის კომიტეტი აქტიურად იმუშავებს.

***— რაკი კომიტეტი ახსენეთ, ამ პროფილითაც დაგისვამთ კითხვას. თქვენ რას ფიქრობთ ხდის ხეობაში ჰესის აშენებაზე. ადგილობრივები და ექსპერტების ნაწილი ამტკიცებს, რომ ეს ჰესი უნიკალურ ხდის ხეობას დაღუპავს.***

— როცა ამ ინტერვიუს ვწერთ, ამ დროს ყაზბეგში არის წასული გარემოს დაცვის მინისტრი. მასთან ერთად არის წასული ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეც. წაყვანილი ჰყავთ სპეციალისტებიც. ისინი დაიწყებენ შესწავლას და დადებენ დასკვნას.

***— როდისთვის დაიდება დასკვნა?***

— სადღაც მარტის შუა რიცხვებში დავდებთ გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტს. იქ ასახული იქნება ყველა წინაპირობა, რისი შესრულების შემთხვევაშიც შეიძლება ჰესის აშენება. საუბარია 6 მეგავატიანი ჰესის აშენებაზე. ეს არ არის დიდი ჰესი. 4 მეგავატამდე ჰიდროელექტროსადგურის ასაშენებლად საერთოდ ნებართვა არაა საჭირო. იქ არ მოხდება წყლის დაგუბება და არ იქნება სარკისებრი ზედაპირი. ამის გაკეთების უფლებას ხდის ხეობაში არავის არ მივცემთ. ძალიან მიხარია, რომ საქართველოში დადგა ასეთი დრო, როცა ენერგეტიკოსები ეკოლოგებს ეკითხებიან, როგორ აშენდეს ჰესები. ამგვარი დამოკიდებულება მხოლოდ მისასალმებელია. წინა ხელისუფლების დროს ენერგეტიკოსები და გარემოს დამცველები ერთი სამინისტროს ქოლგის ქვეშ მუშაობდნენ. ეს გახლავთ წამოუდგენელი ინტერესთა კონფლიქტი. მაშინ გარემოს დამცველებს არაფერს არ ეკითხებოდნენ. ეს იყო ძალიან ცუდი და ცუდი შედეგიც მოიტანა. ბახვის წყალზე დადგეს ჰესი. მოვარდა ღვარცოფი, რომელმაც მთელი ტურბინები წალეკა ლამის. ამ ჰესის ექსპლუატაციაში შესვლა რამდენჯერმე გადაიდო.

# სააკაშვილმა ტყუილი აღიარა

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 26 თებერვალს თავის სალაღობო გამოსვლაში ბევრი სახალისო რამე თქვა. ერთი-ორი „სმეშნოი“ სიტყვა ქართულ ბანკებსაც მიუძღვნა. პირველმა პირმა წუხილით გვამცნო, რომ „თიბისი ბანკი“ და „ლიბერთი ბანკი“ რუსებმა იყიდეს. მისი განცხადება ამ ბანკებმა მაშინვე უარყვეს. გუშინ უკვე პრეზიდენტმაც აღიარა, რომ ტყული თქვა.

აღიარებითი ჩვენება ჟურნალისტებს სააკაშვილმა ბაქოში გამგზავრებამდე მისცა. მისი განცხადებით, ინფორმაცია რაც მას ქართულ ბანკებთან დაკავშირებით ჰქონდა, საბედნიეროდ, არ დადასტურდა.

— ინფორმაციები, რაც მე მქონდა, საბედნიეროდ, არ დადასტურდა და ძალიან ვწუხვარ, თუ რამე არასწორად ვთქვი. ნამდვილად ვიცი, რომ რუსულ ბანკებს აქვთ ქართული ბანკების შეძენის ინტერესი. ნამდვილად ვიცი, რომ ერთ-ერთი ბანკი, რომელიც დავასახელე აწარმოებს შერწყმის მოლაპარკებას ერთ-ერთ მსხვილ რუსულ ბანკთან. ეს ასეა და ალბათ ისინი ამას არ უარყოფენ, თუ არასწორი ბანკები დავასახელე, ეს ჩემდაუნებურად მომივიდა და ნამდვილად არ მინდოდა ბანკებისთვის პრობლემა შემექმნა. მე ყურადღებით დავაკვირდები, რომ საქართველოს ქონება ერთი სახელმწიფოს ხელში არ ჩავარდეს, რომელსაც საქართველოს მიმართ არაჯანსაღი დამოკიდებულება აქვს, — განაცხადა სააკაშვილმა.

სააკაშვილის განცხადება ბანკების გაყიდვაზე ეროვნულმა ბანკმაც



უარყო. მის განცხადებას პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც გამოეხმაურა. მან პირველ პირს ქმედებები დაუგმო.

მისი თქმით, სააკაშვილის ეს განცხადება ემსახურება მიხეილ სააკაშვილის სურვილს, რომ სრულიად ნაციონალური მოძრობა აქციოს პასუხისმგებლად ყველაფერზე, რაც ცალკეული პირების მიერ არის ჩადენილი.

— ეს ფაქტი იყო სამწუხარო. პრეზიდენტს საბანკო სექტორზე განცხადებების გაკეთებისას მეტი სიფრთხილისკენ მოუწოდა. არ შეიძლება ასეთ თემებზე ასეთი საუბარი, რადგან ეს არის პრეზიდენტისგან ნათქვამის სიტყვები და ეხება ძალიან დელიკატურ თემას — საბანკო სექტორს. შეიძლება ასეთი ამბების გავრცელება და უაპელაციო განცხადებები?! შეიძლება ამ დონეზე დავიდეს მოქალაქის პასუხისმგებლობა, რომ აღარაფერი ვთქვათ პრეზიდენტზე, როცა ასეთ თემებზე არასწორი ინფორმაციის გადაცემა სიხარულით ხდება. პრეზიდენტი დამშვიდდება და მისი გუნდის წევრები ყველაფერზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აღებას შეძლებენ, — განაცხადა უსუფაშვილმა.

# ვინ და რატომ უხდიდა ჩიორა თაქთაქიშვილს და მაგდა ანიკაშვილს მილიონებს

## სკანდალში დავით ბაქრაძის მეუღლეც გაერია



შორენა მარსაგიშვილი

ხელისუფლების და ოპოზიციის წყალობით სკანდალები არ გვაკლია. ამ სკანდალებს უფლებათადამცველთა გაერთიანების თავკაცმა ნიკოლოზ მჟავანაძემ ახალი სალაპარაკო თემა გააჩინა. მან გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და გვამცნო, რომ ჩიორა თაქთაქიშვილი, მაკა მეტრეველი და მაგდა ანიკაშვილი ბიუჯეტიდან თანხებს უკანონოდ იღებდნენ. საუბარია 4 მილიონი ლარის უკანონოდ მიღებაზე. ამ საკითხის გარკვევას მჟავანაძე პროკურატურაში აპირებს.

— როგორც ჩვენთვის კონტროლის პალატის ყოფილი თანამშრომლის ნოდარ ლიპარტელიანის მიერ მოწოდებული დასკვნებიდან გახდა ცნობილი, მთავრობის განკარგულებით, ფინანსთა სამინისტრო ყოველწლიურად მილიონ ლარს ურიცხავდა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს ჩიორა თაქთაქიშვილს, აგრეთვე მაგდა ანიკაშვილსა და დავით ბაქრაძის მეუღლეს მაკა მეტრეველს, კერძოდ, „სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების“ ფონდს, სადაც ეს პირები მუშაობდნენ. აღნიშნული თანხების მიღება ხდებოდა შემდეგი სქემით: ფინანსთა სამინისტრო 2009-2010 წლებში სასჯელაღსრულების ანგარიშზე რიცხავდა წლიურად მილიონ ლარს, შემდგომ ეს თანხა სასჯელაღსრულების სამინისტროდან მიდიოდა ორგანიზაცია „სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების“ ფონდში. 2011-2012 წლებში კი, როცა ფინანსთა სამინისტრო წლიურად მილიონ ლარს ამჯერად უკვე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ურიცხავდა, ეს უკანასკნელი ამ თანხას არასამთავრობო ორგანიზაციას ურიცხავდა, — განაცხადა „პრაიმტაიმში“ გამართულ პრესკონფერენციაზე ნიკოლოზ მჟავანაძე.

მჟავანაძის განცხადებით, განათლებისა და სასჯელაღსრულების სამინისტროები ასრულებდნენ ტრანზიტის ფუნქციას და არ ამოწმებდნენ სად მიდიოდა ეს თანხა.

— არ ხდებოდა ფონდის მიერ ფინანსური ანგარიშის წარმოდგენა, არ არსებობდა ინფორმაცია აღნიშნული თანხების ხარჯვის შესახებ და მიუხედავად ამისა, სამინისტროს მიერ უსაფუძვლოდ ხდებოდა ფაქტობრივი ხარჯების აღიარება. წინა ხელისუფლების ქმედებები აშკარად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, კერძოდ, სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 333-ე მუხლების დარღვევა, რომლებიც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და სამსახურებრივი უფლებების გადამეტებას გულისხმობს, — აღნიშნა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

როგორც უკვე ვთქვით, მჟავანაძე ამ საქმის შესწავლას პროკურატურას სთხოვს.

პროკურატურას ისედაც უამრავი საქმე აქვს შესასწავლი, მაგრამ ამ საქმის შესწავლას კბილაშვილი არ დაზარდება.

# როდის ექნება ნაციონალებთან დიალოგს აზრი?

ნათია ხურცილავა

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პასუხი პრემიერ ბიძინა ივანიშვილისადმი საპარლამენტო უმრავლესობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების განცხადებით, სააკაშვილის პასუხი კონკრეტულ კითხვაზე არაადეკვატური იყო.

უმრავლესობის წარმომადგენლები პრეზიდენტის პოზიციას საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ბოლო ტესტად აფასებენ, რომელიც მიმართულია არა ხალხისადმი, არამედ საკუთარი გუნდისადმი.

პრეზიდენტმა პრემიერის მოთხოვნაზე, რომ ორ-სამ დღეში დააფიქსიროს, რას აპირებს საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, პირდაპირი პასუხი არ გასცა და მოლაპარაკებების გაგრძელების ინიციატივით გამოვიდა.

კვლავ გაუგებარი დარჩა, როგორია პრეზიდენტის პოზიცია საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით? აპირებს ის გამოიყენოს მისი უფლება და აპრილში, როდესაც მას კონსტიტუციურად ექნება შესაძლებლობა, მთავრობა დაითხოვოს და ახალი ხელისუფლება დააკომპლექტოს? უმცირესობის წარმომადგენლების არგუმენტი ამ საკითხზე ასეთია: თუ პრეზიდენტი ხალხის ნების წინააღმდეგ წავიდოდა, ის ამ უფლებას ძალოვანი მინისტრების დაკომპლექტების დროს გამოიყენებდა.

როგორც უმრავლესობის წარმომადგენლები აცხადებენ, სანამ არ არსებობს კონკრეტული პასუხი კითხვაზე – პრეზიდენტი აპირებს თუ არა საკონსტიტუციო ცვლილებებს მხარი დაუჭიროს, მანამდე დიალოგის გაგრძელებას აზრი არ აქვს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე მიიჩნევს, რომ პრეზიდენტმა ბიძინა ივანიშვილის სავსებით კონკრეტულ კითხვას ვერ უპასუხა.

ვახტანგ ხმალაძე:

– კითხვა სრულიად ნათლად არის დასმული და ამ კითხვაზე საჭირო არის არა მიკიბ-მოკიბვით საუბარი, არამედ ნათელი პასუხის გაცემა – ან კი, ან არა. მე გეკითხებით, ორჯერ ორი ოთხია თუ ხუთი? პასუხის ნაცვლად გვეუბნებიან, ალგებრაში რა საკითხები განიხილება. კონსტიტუციის ამ ნორმის გამო მას აქვს შესაძლებლობა, მაგრამ აურ-დაურიოს ვითარება ქვეყანაში. როდესაც ფიცულობენ, არ ვაპირებთ ამის გაკეთებას, თუ არ აპირებს, ცეცხლი წაუკიდოს, მაშინ ასანთი გადააგდოს. თან გვეუბნება, არ ვაპირებო და თან ასანთს ათამაშებს ხელში.

– ბატონო ვახტანგ, დიალოგი გაგრძელდება თუ კენჭისყრაზე დადგება საკითხი, როგორც პრემიერმა გვითხრა მარტის ბოლოს?

– ვნახოთ. სულ რამდენიმე დღეში პასუხი გეცოდინებათ.

– პრეზიდენტის პოზიციაზე პასუხი იქნება?

– პარლამენტი რას გააკეთებს, ამაზე იქნება პასუხი პარლამენტის მხრიდან და რა პრემიერ-მინისტრის მხრიდან. პრემიერ-მინისტრმა, ვფიქრობ, ნათლად ჩამოაყალიბა ის პოზიცია, რომელიც მას აქვს. ეს პოზიცია ემთხვევა პარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობის პოზიციას. სრული ურთიერთგაგება გვაქვს, როდესაც პარლამენტმა უარი თქვა პრეზიდენტის მოსმენაზე, სანამ ის არ გამოხატავდა თავის პოზიციას აღნიშნულ საკითხზე. რამდენი ხანი გავიდა ამის შემდეგ? მიუხედავად გარკვეული დროის გასვლისა, მან ისევ ღია დატოვა ეს საკითხი და გვეუბნება – ვილაპარაკოთ. რამდენი ხანია საუბარი გრძელდება და შედეგი რა გვაქვს? ჯერჯერობით არაფერი სასიკეთო. ისევ გავაგრძელოთ უშედეგო საუბარი? ამას გვთავაზობს? რატომ, ვის ვატყუებთ ამით, ხალხს? საკუთარ თავს? აღარ გვინდა ასე გაგრძელება. როდესაც გეკითხებიან, პასუხიც ნათლად უნდა უთხრა.

– როგორ ფიქრობთ, რატომ არ აქვს კონკრეტული პასუხი, აწყობს?

– ვფიქრობ, არ ამბობს პასუხს იმიტომ, რომ სწორი პასუხი, მას მიაჩნია, რომ მისთვის წამგებიანია. არასწორ პასუხზე კი ყველა ეტყვის, რომ ეს არასწორი პასუხია. ამიტომ არ ამბობს არაფერს, მაგრამ ესეც პასუხია, როდესაც არაფერს არ ამბობს.

ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძის განცხადებით, პრეზიდენტის პოზიცია საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით ბოლო ტესტი იყო „ნაციონალური მოძრაობისთვის.“

– მე ვერ მივიღე პასუხი კონკრეტულ კითხვაზე. ის საუბრობს ყველაფერზე, გარდა იმისა, გასცეს პასუხი, უნდა ჰქონდეს თუ არა მას აბსოლუტურად უზურპირებული ხელისუფლება კვლავ. ეს იყო ბოლო ტესტი „ნაცმოძრაობისთვის“ და იმ გუნდისთვის, რომელიც ცხრა წელი უკულმართად მართავდა ამ ქვეყანას. ძალიან სამწუხაროა, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი აბსოლუტურად არაადეკვატურია. – აცხადებს მანანა კობახიძე.

პარლამენტის ვიცე-სპიკერი ასევე გამოეხმაურა პრეზიდენტის სატელევიზიო გამოსვლის სხვა ნაწილსაც. მისი განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სიძულვილის ენით არა მარტო რუსულ მხარეს, არამედ ქართველ ხალხსაც ესაუბრება.

– მე არ ვიცი, რას მოიმოქმედებენ პრეზიდენტის განცხადების შემდეგ რუსი ექსპერტები, თუმცა ზოგადად ქვეყნის პირველი პირი, ასე არ უნდა საუბრობდეს. – განაცხადა კობახიძემ.

ვიცე-სპიკერს არ ჰგონია, რომ ბანკებთან მიმართებაში პრეზიდენტის მიერ განხორციელებული ქმედებით მათ რაიმე ზიანი მიადგეთ.

კობახიძის შეფასებით, სააკაშვილის მხრიდან გაკეთებული განცხადება კერძო საკუთრებაში უხეში ჩარევაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიხეილ სააკაშვილის თანაგუნდელები აცხადებენ, რომ პრეზიდენტი არ აპირებს საკონსტიტუციო ბერკეტი გამოიყენოს და მთავრობა დაითხოვოს ერთპიროვნულად.

– პრეზიდენტმა არაერთგზის განაცხადა, რომ ის არ აპირებს ამ უფლების გამოყენებას. ამ ბერკეტის გამოყენების შესაძლებლობა მას ექნება სულ რაღაც ორ თვეში. სწორედ ამ ორ თვეში ეს საკითხი აქტუალობას დაკარგავს, რადგან პრეზიდენტს აღარ ექნება ამ ბერკეტის გამოყენების საშუალება. საკითხის აქტუალიზაცია, რომელიც ამ ქვეყანაში არავისთვის არ არის მნიშვნელოვანი, მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ „ქართული ოცნება“ ვერ ასრულებს ამომრჩევლისთვის მიცემულ დაპირებებს. ასევე გადაფარვა ხდება დღეს გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის. – განაცხადა საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელმა ზურა ჯაფარიძემ.

უმცირესობის წარმომადგენლების განცხადებით პრეზიდენტი და უმცირესობა კოჰაბიტაციის პროცესისთვის მზად არის, რადგან მიხეილ სააკაშვილმა სურვილი გამოთქვა დიალოგის გაგრძელების, ახლა კი, მათი თქმით ჯერი „ქართულ ოცნებაზეა.“



# რუსი ექსპერტები ქართული ღვინოების შესწავლას გააგრძელებენ

ნათია ხურცილავა

საქართველოში რუსეთიდან ჩამოსული ექსპერტები იმყოფებიან. ექსპერტები რუსეთის ფედერაციის მთავარი სანიტარის, გენადი ონიშჩენკოს დავალებით ჩამოვიდნენ და ქართული ალკოჰოლური და მინერალური კომპანიები შეამოწმეს, როგორც ცნობილია, ექსპერტები ყველა დეტალს სწავლობენ. ექსპერტიზის შედეგები ჯერ უცნობია. თუმცა, მანამდე სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ პრესკონფერენცია ჩაატარა და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

სწორედ პრესკონფერენციაზე გახდა ცნობილი, რომ ქართული ალკოჰოლური საწარმოების ექსპერტირება რუსული მხარის მიერ ჯერ არ დასრულებულა და კვლევები კვლავ გაგრძელდება.

– ჩვენ ჩევნს განცხადებებს უნდა მივხედოთ. მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. რა თქმა უნდა, საფრთხე არსებობს, მაგრამ ზოგადად საფრთხე ყველა ბაზარზე არის. – განაცხადა მინისტრმა.

კირვალიძემ განაცხადა, რომ რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენის დაწყებაზე მუშაობა, ეს არის ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზებისკენ გადადგმული ნაბიჯი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ალკოჰოლური სასმელების ქართული კომპანიების ინსპექტირებისთვის რუსეთიდან კიდევ ერთ დელეგაციას ელოდება.

მინისტრის განცხადებით, გენადი ონიშჩენკოს უწყების ექსპერტთა ჯგუფი ალკოჰოლური სასმელების კომპანიების მეორე ნაწილის ინსპექტირებისთვის უნდა ჩამოვიდეს.

ჟურნალისტის კითხვაზე, როდის გახდება ცნობილი დელეგაციის პირველი ჯგუფის მიერ ჩატარებული ინსპექტირების შედეგები, კირვალიძემ აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც დელეგაცია მოსკოვში დაბრუნდება, რუსული მხარე განცხადებას გააკეთებს.

კირვალიძე საქართველოს პრეზიდენტს უპასუხისმგებლო განცხადების გაკეთებაში ადანაშაულებს.

ასე გამოეხმაურა კირვალიძე გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „როსპოტრებნადზორის“ ექსპერტების საქართველოში ვიზიტის თაობაზე პრეზიდენტის მიერ გაკეთებულ განცხადებას.

– აბსოლუტურად უპასუხისმგებლოა, რამაც შეიძლება, საფრთხის წინაშე დააყენოს საქართველოს 100 000 მოქალაქის კეთილდღეობა. კარგად მოგეხსენებათ, რომ 2 დღეა, საქართველოში იმყოფება 6-კაციანი სპეციალური ჯგუფი, რომელიც აბსოლუტურად ჩვეულებრივ ინსპექტირებას უწევს ღვინის ქარხნებს და მინერალური წყლის კომპანიებს. ანალოგიურ ინსპექტირებას ეწევა საქართველოს, სხვა ქვეყნებში, თუ ამის აუცილებლობა არსებობს. ამაში გასაოცარი არავისთვის არაფერია. 80-ზე მეტ ღვინის მწარმოებელ კომპანიას და რამდენიმე წყლის კომპანიას გაკეთებული აქვთ განაცხადი და დაფიქსირებული ბუნებრივი სურვილი, მათი პროდუქცია დაბრუნდეს რუსეთის ბაზარზე. ჩვენი ხელისუფლება გამოდის ხელშემწყობის როლში, რომ ისინი დროულად დაბრუნდნენ რუსულ ბაზარზე, გააფართოვონ თავისი წარმოების არეალი და დაიბრუნონ ძალიან მიმზიდველი ბაზარი, რასაც მომავალში ხილისა და ბოსტნეული და სხვა ქართული პროდუქციის დაბრუნდება მოხდეს რუსეთის ბაზარზე. ამ პროცესში, სამწუხაროდ, ხდება შეურაცხყოფის მიყენება ინსპექტირების ჯგუფის წევრებისათვის, რაც ძალზე უპასუხისმგებლო რამ გახლავთ. ის ადამიანები, რომელთა რიტორიკის გამო, სამწუხაროდ, დაიკეტა ეს ბაზარი ჩვენთვის, დღეს განაგრძობენ იგივე სტილით. დღეს, როდესაც სოფლის მეურნეობა პრიორიტეტების სიის სათავეში გახლავთ, ასეთი განცხადებები ნამდვილად არ არის ხელშემწყობი. – განაცხადა დავით კირვალიძემ. სოფლის მეურნეობის მინისტრი მიმართავს ყველას, ხელოვნური ბარიერების შექმნისგან თავი შეიკავონ, ვინაიდან ასეთი ქმედება შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მოლაპარაკებების ჩაშლის მცდელობა ან საბოტაჟის მოწყობა ამ პროცესისთვის.



# ბესიკ ტაბატაძე: „გულდასაწყვეტია, როდესაც ქალბატონი ჩიორას ცხვირი ვიღაცისთვის გაცილებით მეტ ღირებულებას წარმოადგენს, ვიდრე ადამიანების სიცოცხლე“

**26 მაისის აქციის დარბევის დროს, „სახალხო კრების“ ისნის რაიონული ორგანიზაციის კომიტეტის „შეფიცულთა“ ჯგუფის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბატაძემ ხალხის ევაკუაციაში მონაწილეობისა და სპეცრაზმის შეჩერებისას, რეზინის ათამდე ტყვიის მოხვედრის შედეგად თვალი დაკარგა. 26 მაისის მოვლენებსა და „სამართლიანობის აღსრულების“ პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, ბესიკ ტაბატაძე „ნიუსპრესს“ ესაუბრება.**



**ბესიკ ტაბატაძე:**

– 26 მაისს აქციაზე, როდესაც ვახდენდით სპეცნაზის შეკავებას, რომელიც არ ინდობდა არც ქალს და არც ბავშვს, დაახლოებით ხუთი ნაბიჯიდან რეზინის ათიოდე ტყვია მესროლეს. ეს იყო სახეში გამიზნული ნასროლი. სხეულის სხვადასხვა ადგილებზე რვა ტყვია მქონდა მოხვედრილი. სროლის შედეგად თვალის გუგა სამ ნაწილად გასკდა. ეროვნული ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე, სწორედ იმ ადგილზე, სადაც ქალბატონ ჩიორა თაქთაქიშვილს ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა, რამდენიმე საათის განმავლობაში უგონო მდგომარეობაში ვეგდე, შემდეგ მიკროავტობუსით დილომში, პოლიციის სამმართველოს შენობაში გადამიყვანეს.

სამმართველოში, იმის გამო, რომ მოვითხოვე, ხელბორკილები, რომელიც უკან მედო წინ გადმოეტანათ, რათა შემძლებოდა თვალიდან სისხლის მოწმენდა, მთელი ღამე მცემდნენ. ამ პერიოდის განმავლობაში ჩემთვის არანაირი სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩენიათ, მიუხედავად იმისა, რომ გამსკდარი თვალიდან სისხლი მომდიოდა. ეს გრძელდებოდა დაახლოებით დილის 7 საათამდე, მანამ, სანამ ვიღაც თეთრხალათიანი ქალბატონის დაჟინებული მოთხოვნების შემდეგ, რომელიც სასწრაფო დახმარების ექიმი აშკარად არ იყო, ღუდუშაურში გადამიყვანეს, სადაც თვალზე ოპერაცია გამიკეთეს.

26 მაისის სადამსჯელო ოპერაცია იყო წინასწარ დაგეგმილი და ორგანიზებული იმ სახით, რომ მომხდარიყო არა მიტინგის დაშლა, – რაც გულისხმობს რომ მომიტინგეებს ტერიტორიის დატოვების საშუალება მისცე და ამისთვის კორიდორი დაუტოვო, არამედ ჩატარდა კლასიკური სამაგალითო სადამსჯელო ოპერაცია, რომელიც მოეწყო სხვების დასანახად ვინც მოედანზე არ იყო და რეჟიმს არ ემორჩილებოდა.

***– როგორც ვიცით, ამ საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობდა გამოძიება, მოხდა თუ არა თქვენი დაკითხვა?***

– ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება მალევე დაიწყო. 27 მაისს მე მივმართე სახალხო დამცველს, რომელმაც თავის მხრივ გენერალურ პროკურატურას მიმართა. ამ ყველაფრის შემდეგ, დაახლოებით ივლისის ბოლოს პროკურატურიდან დამიკავშირდა გამომძიებელი ბაინდურაშვილი, რომელმაც შემომთავაზა დაკითხვაზე მისვლა. დაკითხვაზე გამოვცხადდი საიას ადვოკატ მიხეილ ღოღაძესთან ერთად. კითხვები ძირითადად ეხებოდა იმ საკითხს, ხომ არ ვიცანი ვინ მესროდა ტყვიებს. თუმცა, რა თქმა უნდა შეუძლებელია იმ ადამიანების ამოცნობა ვისაც ნიღაბი და მუზარადი უკეთია. მე გამომძიებელს ვუთხარი, რომ სურვილის შემთხვევაში გენერალურ ინსპექციას და პროკურატურას ადვილად შეუძლია გაარკვიოს ვინ მოახდინა ჩემი მიმართულებით გასროლა. იქ იყო დაახლოებით რვა-ათი პიროვნება ვინც მე მესროდა. მათ ხელმძღვანელს, ვინც ისინი ადგილებზე განალაგა შეეძლო გაერკვია თუ ვის გამო აღმოვჩნდი ამ მდგომარეობაში. ამ ყველაფრის დადგენა გამოძიებას შეეძლო, თუმცა მათ ჩემთვის აღარ მოუმართავთ. ექსპერტიზაც არ ჩამიტარეს, ელოდებოდნენ რომ ნატყვიარის კვალი გამიქრებოდა. ჩემი ხარჯებით მივედი სამხარაულის ცენტრში და ექსპერტიზა გავიარე. დაგვიანებული ექსპერტიზის პასუხი იუსტიციის სამინისტროში მივიტანე, პროკურატურას გადავეცი და მოვითხოვე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სტადიაზე იყო ჩემი საქმის გამოძიება. ამის შემდეგ მე არანაირი პასუხი აღარ მიმიღია. ჯერჯერობით არც ახალი ხელისუფლებიდან არ შემხმიანებიან.

***– რამდენადაც ვიცით, ამ საქმესთან დაკავშირებით თქვენ შვეიცარიის საელჩოსაც მიმართეთ, მოჰყვა თუ არა რეაგირება მიმართვას?***

– ჩვენი პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო“ აბსოლუტურად იზიარებს დასავლურ ფასეულობებს, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ ვეთანხმებით დასავლეთში ფართოდ გავრცელებულ ორმაგ სტანდარტებს, რაც გამოიხატა იგივე შვეიცარიის საელჩოს წარმომადგენლების, თითქმის ყველა ევროპული დემოკრატიული ქვეყნის და იმ პერიოდში ამერიკის ელჩის პოზიციაში, რომლებმაც არანაირი რეაგირება არ მოახდინეს იმ სისხლიან სადამსჯელო ოპერაციაზე, რასაც ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა. ჩვენ არა მარტო შვეიცარიის საელჩოს მივმართეთ, მივმართეთ ასევე ევროკავშირის წარმომადგენლობას, გაეროს წარმომადგენლობას, თუმცა მას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. გულდასაწყვეტია, რომ ქალბატონი ჩიორას ცხვირი ვიღაცისთვის გაცილებით მეტ ღირებულებას წარმოადგენს, ვიდრე ადამიანების სიცოცხლე და თუნდაც ჩემი დაკარგული თვალი. მე მკითხონ რამდენად ღირებულია ჩემთვის ჩემი თვალი, ნახევარი სიცოცხლე დავკარგე და შრომისუნარიონა 45%-ით მაქვს დაქვეითებული. ამ ყველაფრის შემდეგ, წარმოიდგინეთ როგორი ასატანია ჩემთვის ვიღაც ჩიორა თაქთაქიშვილის და გიგა ნა-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# გოგა ხაინდრავა: „სააკაშვილი პროვოკაციაზე ვერ წამოგვაგებს“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ გოგა ხაინდრავასთან

***— ბატონო გოგა, მოდით, სააკაშვილის განცხადებების შეფასებით დავიწყოთ საუბარი. იმ ფონზე, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ცოტა ცინიკური ხომ არ არის მისი ასეთი რიტორიკური განცხადებები?***

— დავიწყოთ იქიდან, რომ სააკაშვილის გამოსვლებს არ ვუსმენ საერთოდ. მე ვფიქრობ, დროა, რომ საქართველოს საზოგადოებამ დაამთავროს ამ არსებასთან ურთიერთობა და რაც ნაკლებ ყურადღებას დავუთმობთ, მით უკეთესად ვიცხოვრებთ, იმიტომ, რომ ეს გაუთავებელი პრესით სჯაბაასი სააკაშვილის გარშემო, მართალი გითხრათ, მომაბეზრებელი ხდება და დიდი ხანია საინტერესო აღარ არის. მე ვფიქრობ, რომ უფრო სერიოზული პრობლემებით უნდა ვიყოთ დაკავებული. პირველ რიგში, ეს არის არარსებული მართლმსაჯულება. ქართველმა საზოგადოებამ უნდა გაიაზროს, რომ ამ დაწესებულებაში, კუბლაშვილის თამადობით, სხედან მღრნელები, ჩვენი ცხოვრების, ჩვენი მომავლის, ჩვენი შვილების. არავითარი კავშირი მაგათ მართლმსაჯულებასთან არა აქვთ და ის გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოაქვთ, არის აბსოლუტურად ანტისამართლებრივი და ეს საკითხი, რა თქმა უნდა, საზოგადოებას უნდა აღელვებდეს. უნდა აღელვებდეს სერიოზულად და არა ის, რას ბოდიალობს შიზოფრენიკი სააკაშვილი.

***— დღევანდელი სასამართლო მთლიანად ნაციონალების დაკვეთას ასრულებსო და როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება?***

— ყველაფერი ამ ქვეყანაში ეკუთვნის ხალხს, ყველანაირი ხელისუფლება, ყველა შტო ხალხის მიერ არის დადგენილი. ამიტომ ბუნებრივია, ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ის, რაც დღეს ხდება, ეს არის ხალხის საწინააღმდეგო ქმედება, საზოგადოების საწინააღმდეგო ქმედება. ამიტომ ამას საზოგადოებამ უნდა დაუპირისპიროს თავისი ნება, თავისი ხედვა და მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს ძალიან ფართოდ ორგანიზებული. იმიტომ, რომ ამის ატანა უკვე შეუძლებელია. ჩვენ შეგვიძლია სააკაშვილის, მერაბიშვილის, ბოკერიას, უგულავას გარეშე ცხოვრება ნამდვილად, მაგრამ მსაჯულების და სასამართლოს გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია. ამიტომ ქართველმა საზოგადოებამ, რაც შეიძლება სწრაფად, ერთობლივად, ყველამ ერთად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება და ეს არ უნდა მივანდოთ მარტო მთავრობას. იმიტომ, რომ მარტო მთავრობისთვის მოთხოვნა ქვეყანაში არსებული მდგომარეობის, არაფრით არ შეიძლება, პირველ რიგში, საკუთარ თავს უნდა მოვკითხოთ.

***— ნაციონალები მიზანმიმართულად მიდიან სიტუაციის გამწვავებაზე, ქაოსის გამოწვევა სურთო...***

— მათ სხვა გამოსავალი არ აქვთ, მაგრამ ვითარებას ნაციონალები კი არ ამწვავებენ, ვითარებას მედია ამწვავებს. ამწვავებს მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, ეს ჩემი სუბიექტური აზრია, რომ მათ სკანდალი უნდათ. სკანდალი – ეს იდეა დღემდე ძლიერად არის ფესვგამჯდარი ქართულ პრესაში, რომ ყველაფერი სკანდალად უნდა იქცეს და არა ნორმალური ცხოვრების აღწერა, ახალი ამბები და ასე შემდეგ. არა, ყველაფერი უნდა იყოს სკანდალური, უნდა იყოს ჩხუბი, გინება, გაწევ-გამოწევა. აი, ეს არის წარმატებული რეპორტაჟი თუ წარმატებული გადაცემა, წარმატებული სტატია, თუ წარმატებული ინტერნეტინფორმაცია, თუ ის შეიცავს რაღაცა დაპირისპირებას და უბედურებას. სანამ ეს იქნება საზოგადოების ინტერესი, ეს სკანდალი, უბედურება და ნაციონალების სიმყრალეც იქნება ქვეყანაში. თუ ჩვენ ყველანი ერთად ზომებს მივიღებთ, რომ ეს აღარ იყოს, მაშინ უფრო მშვიდი და წყნარი ცხოვრება გვექნება, მერწმუნეთ.

***— ბატონო გოგა, საკმაოდ ბევრს საუბრობენ მერაბიშვილის მიერ ორი თვით ადრე დაანონსებულ 19 აპრილზე. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე, რა გეგმები აქვთ, რა უნდათ ნაციონალებს?***

— მე რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ. ეს ყველაფერი სიცრუესთან არის დაკავშირებული და მთლიანად აგებულია სიცრუეზე. ასევე ამ ზედაპირულ მოთხოვნილებებზე, რომლებიც თითქოსდა გამეფებულია ამ ქვეყანაში; ყოველ შემთხვევაში, რომ გადახედო პრესას და მედიას, ასე ჩანს, მაგრამ მერწმუნეთ, ეს ასე არ არის. ხალხი უფრო დაინტერესებულია იმით, თუ რა შედეგს მოგვცემს ეს გაზაფხული, რამდენად იქნება ხვნა-თესვა საქართველოში განხორციელებული იმ მასშტაბით, რა მასშტაბებზეც მიდიოდა საუბარი. რა სარგებელს მოუტანს ხალხს ეს ამბავი, რა უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ იმ ხალხმა, ვინც არ არის მიჩვეული შრომას და წესიერ ყოფას, თავი იგრძნოს კომფორტულად ამ ახალ ვითარებაში, მაგრამ ეს მესამეხარისხოვანია რატომღაც, ყურადღების თვალსაზრისით, არადა, მე ვფიქრობ, რომ პირველხარისხოვანი სწორედ ის არის. რა თქმა უნდა, მართლმსაჯულების მდგომარეობა აბსოლუტურად შეუწყნარებელია, მოსამართლეების მანტიები აცვიათ ბოროტმოქმედებს, დიახ, ის ადამიანები არიან ბოროტმოქმედები. ისინი არიან კანონის დამრღვევები, ისინი არიან უსინდისოები. სასამართლო სინდისზე დგას საერთოდ. ვერც მიალურსმნებ სკამზე მოსამართლეს და ვერც ბაწრით მიაბამ. ერთადერთი, ეს არის დაკავშირებული მის სინდისთან, ყოველ შემთხვევაში, უნდა იყოს, უნდა იყოს სამართლიანობის პრინციპი, რაც სრულად აღმოფხვრილია კუბლაშვილისა და სააკაშვილის მიერ. არც მინდა, იმას სასამართლო ვუწოდო. ეს არის მისახედი საკითხი ნამდვილად და ქართველმა საზოგადოებამ ამას სერიოზულად უნდა მიხედოს და რაც შეიძლება სწრაფად. ყველაფერზე ნუ ვიქნებით მთავრობის მომლოდინენი და მერე ყველაფრის მომთხოვნი ამა თუ იმ წარუმატებელი მთავრობისგან. ჩვენი აქტიურობა არის საწინდარი სამართლიანობის არსებობისა ქვეყანაში. სასამართლოს სწრაფი გარდაქმნის, რეფორმის, რომ გვქონდეს გარანტია, იქ წესიერი ადამიანები შეიკრიბებიან და რა თქმა უნდა, ეკონომიკური განვითარების და პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის. ამის ხელშეწყობა, პოპულარიზაცია, ამაზე ფიქრი და ამით ცხოვრება. ცხოვრება მომავლით და არა წარსულით, რასაც სააკაშვილი, კუბლაშვილი და მთელი ეს ნაცხროვა წარმოადგენს.



***— გვინდა-არ გვინდა, ჯერჯერობით მაინც ახერხებენ ნაციონალები საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენას...***

— საზოგადოებაზე ამ ზეგავლენის მოხდენას ისინი კი არ ახერხებენ, არამედ მედია. ისინი ამას ვერ მოახერხებდნენ ვერავითარ შემთხვევაში, ასეთი მხარდაჭერა რომ არ ჰქონდეს პრესის, ნებსით თუ უნებლიეთ, მე არ ვიცი. ზოგ შემთხვევაში რა ხდება, ზოგ შემთხვევაში – რა. ამას მედია აკეთებს და არა ნაცები, რადგან ისინი არიან ერთი მუჭა კანონგარეშე მდგომი ორგანიზაციის წევრები. აი, მთელ ამ ქარიზმას, დევნილობის და ვითომ ოპოზიციონერობის და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, აძლევს პრესა, მხოლოდ და მხოლოდ პრესა.

***— ბოლო პერიოდში საკმაოდ ხშირად ისმის ეს კითხვა და მინდა, რომ თქვენც გკითხოთ. როგორ ფიქრობთ, წავა სააკაშვილი იმაზე, რომ დაითხოვოს მთავრობა და პარლამენტი თუ ვერ გარისკავს ამას?***

— სააკაშვილი ვერსად ვერ წავა. სააკაშვილს მხოლოდ ორი გზა აქვს, მე ვფიქრობ, რომ მისთვის სამკურნალო დაწესებულებაა ყველაზე სასურველი და საჭირო, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიც მოხვდეს. იმიტომ, რომ ძალიან ბევრი გონივრული ეჭვი არსებობს მის მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ვერ დაითხოვს მთავრობას?***

— ის ვეღარაფერს ვეღარ გააკეთებს. მერწმუნეთ, სააკაშვილი არის პოლიტიკური ლეში, რომელიც რეანიმაციაში ჰყავთ შეტანილი და ნაწილობრივ მისი დასავლელი თუ ჩრდილოელი პარტნიორები და ნაწილობრივ ქართული მედია ნებსით თუ უნებლიეთ ამ რეანიმაციას ახორციელებენ და რა მიზნით და რისთვის ჩემთვის გაუგებარია. ეს ქართულ მედიასტან დაკავშირებით არის გაუგებარი, თორემ დასავლელ და ჩრიდილოელ პარტნიორებს რაც ამოძრავებთ, ეს კარგად ვიცი.

***— დასავლეთი ახსენეთ და სწორედ ისინი უშლიან ხელს მაღალი თანამდებობის პირების დაპატიმრებასო...***

— დასავლეთი – ეს ზოგადი მცნებაა, იქ ძალიან კონკრეტული ძალები არიან, ძალიან კონკრეტული. ესენი არიან ის ადამიანები, ის სტრუქტურები და ის დაწესებულებები და ზოგ შემთხვევაში ცალკეული პიროვნებები, ვინც სააკაშვილთან ძალიან მჭიდრო კონტაქტში არის შემჩნეული.

***— ვხედავთ, რომ პროკურატურა უძლურია, თუნდაც უგულავას მაგალითი რომ ავიღოთ, ვნახეთ, რომ ის სასამართლომ უპირობოდ გაუშვა...***

— ამ შემთხვევაში პროკურატურა არაფერ შუაში არ არის. პროკურატურამ ისეთი ბრალდება წააყენა, ისეთი ბრალდება დააყენა დღის წესრიგში, პრაქტიკულად უკვე გამოძიებული, მანდ დიდი გამოსაძიებელი არაფერი არ არის, იმიტომ, რომ ყველამ იცის ამის შესახებ. უგულავა წლების მანძილზე ამ ყველაფერს ღიად და დაუფარავად აკეთებდა, ამიტომ ეჭვის შეტანა იმ ბრალდებაში, არის ძალიან რთული თუ შეუძლებელი არა. თუმცა ამას ახერხებს ის შემადგენლობა, რომლებსაც თავიანთი თავი მოსამართლეები ჰგონიათ და მოსამართლეებად ასაღებენ. თუმცა გეტყვით, რომ ეს ყველაფერი დროებითია, ამას ძალიან მალე მოეღება ბოლო. ეს არის ქართველი ხალხის ნება, ისეთივე მყარი და ისეთივე ძლიერი, როგორიც ეს იყო პირველ ოქტომბერს. ამიტომ რეალურად ის სასამართლო კორპუსი, რომელიც ძალიან ბევრ უკანონო ქმედებაშია ეჭვმიტანილი, ძალიან მალე მოშორდება ამ ყველაფერს.

***— როგორ ფიქრობთ, ოქტომბრამდე საზოგადოებსა ამ რეჟიმში მოუწევს ცხოვრება?***

— პირველ რიგში, ეს საზოგადოების მოთხოვნით არის განპირობებული. თუ საზოგადოებაში იქნება იმის მოთხოვნა, რომ მორჩეს ეს ტაკიმასხარაობა, რომელთანაც გვაქვს საქმე, მაგრამ ამავდროულად ეს ტაკიმასხარაობა ხიფათსაც შეიცავს გარკვეულწილად. გავიმეორებ, რომ ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენ არ უნდა ვეძებოთ პასუხები მთავრობაში. საკუთარ თავში და ყველა ჩვენგანის ინტერესებში უნდა ვეძებდეთ ამ პასუხებს და შესაბამის რეაქციას ვავლენდეთ. იმიტომ, რომ მე დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა სრულიად ისეთი ვითარება, როდესაც ხალხმა მართლა შეიძლება გადაწყვიტოს საკუთარი ქვეყნის ბედი და საკუთარი მომავლის ბედი. ამის შესაძლებლობები ჩვენს საზოგადოებას ახლა ნამდვილად აქვს და ჩვენ უნდა გამოვავლინოთ ეს შესაძლებლობები. ნუ ველოდებით ამას ივანიშვილისგან თუ უსუფაშვილისგან თუ ზაქარეიშვილისგან. ჩვენ თვითონ ავიღოთ ხელში ინიციატივა და მოვითხოვოთ ყველამ ერთად, რომ ეს მარაზმი დასრულდეს, ეს ცინიზმი და ეს კრიმინალი საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მხრიდან და იქ შემორჩენილი, ასე ვთქვათ, ელემენტებიდან, კუბლაშვილის და იმ ვითომ მოსამართლეების სახით. ეს იქნება ძალიან მკაფიო მესიჯი, როგორც ქვეყნის შიგნით მყოფი სააკაშვილის ლობისტებისთვის, ისე ქვეყნის გარეთ. იმიტომ, რომ ეს იქნება ქართველი ხალხის ნება, ძალიან მკაფიოდ გაცხადებული.

***— საზოგადოების აქტიურობა ამ სიტუაციაში სახიფათო ხომ არ არის და პროვოკაციაზე წამოგების საშიშროებას ხომ არ ხედავთ?***

— პროვოკაციაზე 9 წელიწადი ვერ წამოგვაგეს, ვერცერთხელ ვერ წამოგვაგეს. 7 ნოემბერს და 26 მაისს თუ ვინმე პროვოკაციას ეძახის, ან 15 ივნისს, სხვა საქმეა. ძალიან გაწაფულია ქართველი საზოგადოება და დიდი გამოცდილება აქვს, სამაგალითო საზოგადოება ვართ ამ თვალსაზრისით მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

## სადახლოზე დიდი ოდენობით კონტრაბანდული ძვირფასი ქვები და ოქრო ამოიღეს

სადახლოს საბაჟო გამშვებ პუნქტზე, გუშინ, დიდი ოდენობით ძვირფასი ქვების საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით შემოტანის მცდელობის ფაქტები გამოვლინდა.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ავტომანქანის საბარგულში მოწყობილ სამალავში მოთავსებული არადეკლარირებული ოქრო, სომხეთის მოქალაქეს სომხეთიდან, მალულად შემოჰქონდა.

მეორე შემთხვევაში კი, ასევე სომხეთიდან შემომავალმა სირიის მოქალაქემ, საბაჟო პროცედურების სრული დაცვით ოქროს ნივთების დეკლარირება მოახდინა, თუმცა საფულეში, დაახლოებით 3-დან 4 კარატამდე სიდიდის ძვირფასი ქვა - სავარაუდოდ ბრილიანტი აღმოაჩნდა, რომელიც საბაჟო პროცედურების გვერდის ავლით შემოჰქონდა.

ძვირფასი ქვები შემდგომი შესწავლის მიზნით, ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს გადაეცა.

ნიუსპრესი

## თავდაცვის სამინისტროს ირაკლი ღარიბაშვილი სტუმრობდა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გუშინ, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი იმყოფებოდა.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ალასანიამ მიიღო. რიგით მეორე სამუშაო შეხვედრაზე, მინისტრებმა ეფექტიანი კოორდინაციისა და ორივე უწყების ქვედანაყოფებს შორის თავსებადობის უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხები განიხილეს.

ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში არსებული ლოჯისტიკური პრობლემების ერთიანი ძალებით მოგვარებაზეც შეთანხმდნენ. უწყებებს შორის სამუშაო შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება.

შეხვედრას ასევე, ძალოვანი მინისტრების მოადგილეები და საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელობა ესწრებოდა.

ნიუსპრესი

## ბესიკ ტაბატაძე: „გულდასაწყვეტია, როდესაც ქალბატონი ჩიორას ცხვირი ვილაცისთვის გაცილებით მეტ ღირებულებას წარმოადგენს, ვიდრე ადამიანების სიცოცხლე“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

სარიძის ცხვირიდან წამოსული სისხლი, მითუმეტეს, რომ ისინი პროვოცირებას სპეციალურად ეწეოდნენ, რომ ხალხი გამოეწვიათ. მათი გულისთვის ამხელა ამბავი ატყდა, ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლები ხუთი დღის შემდეგ სპეციალურად ჩამოვიდნენ და „ბუდეში“ მოკალათებული ჩიორა თუ „ბახალა“ მოინახულეს, ჩემთან კი ერთი ადამიანი არ მოსულა და არ უკითხავს თუ რა მდგომარეობაში ვარ, რა ტრამვა მივიღე და როგორ შევძელი სამი ოპერაციის გაკეთება.

***— ამ ფონზე, რას იტყვით ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 26 მაისისა და 8 თებერვლის შედარებასთან დაკავშირებით?***

— არავის არანაირი მორალური უფლება არ აქვს, რომ 8 თებერვალი 26 მაისის მოვლენებს შეადაროს. ეს შედარება არ შეიძლება. 26 მაისი იყო სახელმწიფოს ტერორი განსხვავებული შეხედულებების მქონე საკუთარი მოქალაქეების მიმართ, რაც მათ მასობრივ ხოცვაში, დაჭერებში და დასახიჩრებაში გამოიხატა, ხოლო მეორე, – წინა ხელისუფლების მიერ უსამართლოდ დაჩაგრული, არაფრის გამო ციხეში გაგზავნილი ადამიანების პროტესტის გამომხატველი ჯგუფი, რომლებიც აპროტესტებდნენ ტირანი პრეზიდენტისა და მისი ჯგუფის მოქმედებებს. ამ დროს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ გამოიყენეს კორიდორები და სპეციალურად იქ მივიდნენ რათა ხალხი გამოიწვიათ. ჩემთვის მიუღებელია უფლებადაცვითი და საერთაშორისო ორგანიზაციების სულმოკლე სიჩუმე მაშინ, როდესაც 26 მაისის აქციას რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და ასეულობით ადამიანი დასახიჩრდა.

***— თქვენ, როგორც წინა ხელისუფლების დროს ფიზიკურად დაზარალებული პიროვნება, რა აზრის ხართ უსუფაშვილის მიერ გაჟღერებულ შესაძლო ამნისტიასთან დაკავშირებით?***

— მინდა ვუთხრა დავით უსუფაშვილს, რომ თუ თვითონ აქვს ვინმეზე საპატიებელი, აპატიოს და ჩემს მაგივრად და ჩემი მეგობრების მაგივრად, – რომლებმაც ჩვენ კისერზე გადავიტანეთ ამ რეჟიმის რეპრესია, მათი მსხვერპლი გავხდით და დღემდე ეს ჭრილობები ვერ მოგვიშუშებია – ნურავის ნურაფერს ნუ პატიობს. ჩვენ ამის უფლებას არავის მივცემთ. ერთი ადამიანი იმ შეთხვევაში პატიობს მეორეს, როდესაც მეორე მიდის და მას ბოდიშს უხდის. თუ ადამიანი არ მოდის და ბოდიშს არ იხდის, აქეთ გვდებს ბრალს და სახელმწიფო მოღალატეებს, ჯაშუშებს და კრიმინალებს გვეძახის, ვის რა ვაპატიოთ. ბოლოს მინდა ავღნიშნო, რომ „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველო“ ჩამოყალიბებიდან დღემდე ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენისათვის იბრძოდა, ამისათვის ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, მსხვერპლად შევწირეთ ჩვენი თავი, ჩვენი პოლიტიკური ამბიციებიც გავწიეთ გვერდზე და არჩევნებშიც არ მივიღეთ მონაწილეობა. მთელი ჩვენი რესურსი ნამდვილ ოპოზიციურ ძალას – „ქართულ ოცნებას“ და მის ლიდერს ბიძინა ივანიშვილს მივეცით. არავის დაავიწყდეს, რომ ჩვენ ვითხოვთ სამართლიანობის აღდგენას. ახალი ხელისუფლება საქართველოში მოვიდა იმიტომ, რომ პირველ რიგში, ქვეყანაში სამართლიანობა უნდა აღადგინოს, სამართლიანობის აღდგენას ბევრი ჩემნაირი და მეტად დაზარალებულიც ელოდება.

ლიკა მეგუთნიშვილი

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“

# შემწეობას 150 ათასი ოჯახი იღებს

## ვის და რატომ შეუწყდა დახმარება

მერი ნამორაძე

ბოლო ხანებში სოციალური მომსახურების სააგენტომ არაერთ ბენეფიციარს შეუჩერა ან შეუწყვიტა შემწეობის გაცემა და ერთგვარი უკმაყოფილების ტალღაც ააგორა. სოციალური მომსახურების სააგენტოში აცხადებენ, რომ ბაზაში უმწეოთა რაოდენობის ზრდა უკავშირდებოდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, კერძოდ, არჩევნებს.

გუშინ, სააგენტოს ხელმძღვანელობამ საგანგებოდ განმარტა შექმნილი ვითარება. სააგენტოს ხელმძღვანელმა, ნოე ქინქლაძემ, განაცხადა, რომ 2010 წლის მთავრობის 126-ე დადგენილების თანახმად, სოციალური მომსახურების სააგენტო უფლებამოსილია, გამოითხოვოს ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან, შემოსავლების სამსახურიდან და საჯარო რეესტრიდან. აღნიშნული დადგენილების მოთხოვნის და ბაზების შედარების საფუძველზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, საარსებო შემწეობის მიღება შეჩერებოდა 5 935 და შეწყვეტოდა 11 846 ოჯახს.

შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 50 000 ლარზე მეტი წლიური შემოსავალი დაუფიქსირდა 32 ოჯახს; 40-დან 50 ათასამდე ლარზე მეტი დაუფიქსირდა 31 ოჯახს; 20-დან 40 ათასამდე 392 ოჯახს; 10-დან 20 ათასამდე შემოსავალი დაუფიქსირდა 2 363 ოჯახს, ხოლო 5-დან 10 ათასამდე შემოსავალი 6 147 ოჯახს.

ასევე, შსს-ს მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბენეფიციარებს უფიქსირდებათ ბოლო წლებში გამოშვებული ძვირადღირებული ავტომობილები. მათ შორის, 2011 წლის ლექსუსი და ტოიოტა ლენდ კრუიზერი.

საჯარო რეესტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ ბაზაში არსებობს, ე.წ. უმწეო, რომელსაც უფიქსირდება, რომ ათეულობით ბინის იპოთეკარია.

უმწეოთა ბაზაში ფიქსირდებიან და ბიუჯეტიდან შემწეობის თანხას იღებდნენ შემდეგი უწყებების თანამშრომლები: კერძოდ – პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის, მუნიციპალიტეტების, თბილისის მერიის სამსახურების და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული სტრუქტურების თანამშრომლები.

ამ დღეებში სოციალური მომსახურების სააგენტოს მომართა არაერთმა მოქალაქემ, რომელიც აცხადებს, რომ შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და რეალურად მათ მიერ აღებული თანხა არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, შპს. „თბილსერვისში" მომუშავე ქალბატონის სახელფასო ამონაწერი ბანკიდან და შემოსავლების სამსახურის მონაცემები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან. სოციალური მომსახურების სააგენტოში ყოველდღიურად იწერება მსგავსი სახის განცხადება.

ჩვენს შეკითხვას, სოციალურ აგენტთა მიერ დაშვებული შეცდომებით ხომ არ მოხვდნენ ბაზაში მაღალანაზღაურების მქონე პირები, ქინქლაძემ უპასუხა:

– არ ვიცით ეს რა იყო, იმიტომ, რომ ზოგიერთი მოგვმართავს, რომ შემოსავლები, რომელიც შემოსავლების სამსახურმა თავის ბაზაზე დააფიქსირა, მას არ მიუღია. ამ ფაქტებს გადავცემთ შესაბამის ორგანოებს, რომლებიც დაადგენენ, რასთან გვაქვს საქმე. ალბათ, ისეთ ოჯახში იყო ჩვენი წარმომადგენელი, იმას ნამდვილად არ ექნებოდა ასეთი შემოსავალი, მაგრამ ეტყობა, რაღაც ხდება. შეიძლება ეს შემოსავალი ვიღაცამ მიიღო ჩვენი ბენეფიციარის მაგივრად, – გვითხრა ქინქლაძემ.

რა თქმა უნდა, ამ თანხების უკან დაბრუნების მექანიზმი არ არსებობს. ერთადერთი, მოქალაქის ბაზიდან ამოღებაა. თუმცა, ბაზიდან ამოვარდნილ პირებს არ შეჩერებიათ სამედიცინო დაზღვევის პოლისის მოქმედება. ოჯახს შეუძლია გადასამოწმებლად მიმართოს სააგენტოს. ქინქლაძე იმედოვნებს, რომ ბაზაში მოხვედრილი პირების ცნობიერებაც ამაღლდება და გაითვალისწინებენ, რომ თუ შემოსავალი გაუჩნდებათ, სააგენტო საქმის კურსში უნდა ჩააყენონ. ასეა მთელ მსოფლიოში და კანონი კანონია!

ამ ეტაპზე დახმარებას 150 ათასი ოჯახი იღებს ქვეყნის მასშტაბით და რიგშიც ბევრი მსურველი დგას.

# ვინ მისცემს ახალ შანსს მიუსაფარ ბავშვებს?

მერი ნამორაძე



**როგორც იქნა, ქუჩის ბავშვებისათვის ქვეყანაში ახალი პროგრამა „ვიზრუნოთ ყველაზე დაუცველ ბავშვებზე საქართველოში" ამოქმედდა. მოზარდებს, რომლებიც ქუჩაში ათენ-აღამებენ და ფულს მათხოვრობით გამოიმუშავებენ და ხშირ შემთხვევაში მშობლების ძალადობის მსხვერპლნი არიან, დღის ცენტრებით თუ თავშესაფრებით სარგებლობის საშუალება მიეცემათ.**

გუშინ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, დავით ლომიძემ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ფილიპ დიმიტროვმა და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში, საშა გრაუმანმა საზოგადოებას ახალი პროგრამა წარუდგინეს.

პროგრამის ფარგლებში შეიქმნება სახელმწიფო მექანიზმი ქუჩაში მცხოვრები ან მომუშავე ბავშვების დასახმარებლად. მოხდება მათი იდენტიფიცირება და კონკრეტულ პროგრამებში ჩართვა. პირველ წელს პროექტი თბილისში განხორციელდება, მეორე წლიდან კი დასავლეთ საქართველოც ჩაერთვება და ან ბათუმი შეირჩევა, ან ქუთაისი. პროექტი დაახლოებით 700 ბავშვზეა გათვლილი, რომელიც ოთხ დღის ცენტრს შესთავაზებს, რომელიც ბავშვებს დაეხმარება ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, შესთავაზებს ფსიქოლოგიურ და სამედიცინო დახმარებას, ხელს შეუწყობს მათ ინტეგრირებას განათლების ოფიციალურ სისტემაში. ასევე ამუშავდება 24 საათიანი თავშესაფარი, რომელთა მიზანი ბავშვის ქუჩისგან განრიდება და ნორმალური ცხოვრებისთვის ადაპტირება იქნება. შეიქმნება ასევე 4 მობილური ჯგუფი, რომელშიც შევლენ სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, მასწავლებლები და თანატოლ-განმანათლებლები, რომლებიც შეაფასებენ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე თითოეულ ბავშვს. მობილური ჯგუფის მიზანი იქნება ბავშვების მოძიება ქუჩებში, მათთან პირველადი კონტაქტის დამყარება, ნდობის მოპოვება და დღის ცენტრში მოზიდვა.

ორწლიან საპილოტე პროგრამას ევროკავშირი დააფინანსებს 750 000 ევროთი, ხოლო გაეროს ბავშვთა ფონდი – 100 000 ევროთი. უშუალო განმახორციელებელი კი ჯანდაცვის სამინისტრო იქნება იუნისეფთან ერთად. პროექტის განხორციელებაში ასევე მონაწილეობენ განათლების, იუსტიციის, ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროები და თბილისის მერია. ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები „ვორლდ ვიჟენ", „კარიტას-საქართველო" და „ბავშვი და გარემო", რომლებიც ბავშვებს შესთავაზებენ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ მომსახურებას.

როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილემ, მამუკა მაჭავარიანმა აღნიშნა, ბავშვზე ზრუნვის სისტემის რეფორმა საქართველოში 2005 წლიდან მიმდინარეობს. რეფორმის მიზანს წარმოადგენს ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის გაძლიერება და ბავშვთა ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა, რადგან ოჯახური გარემო საუკეთესოა ბავშვის სრულყოფილი განვითარებისთვის. პრიორიტეტად იქნა აღიარებული დეინსტიტუციონალიზაცია – დიდი ზომის ბავშვთა სახლების ჩანაცვლება ალტერნატიული მზრუნველობის ფორმით და ბავშვების ოჯახურ გარემოში აღზრდა. თუ 2004 წელს დიდი ზომის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებებში 5200 ბავშვი იყო, 2013 წლისათვის 100 ბავშვია დარჩენილი:

– ბავშვები დაუბრუნდნენ ბიოლოგიურ ოჯახებს, გადავიდნენ ალტერნატიული მზრუნველობის ფორმებში, როგორიცაა მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო სახლები ან გაშვილდნენ. განვითარდა როგორც ოჯახის მხარდამჭერი, ასევე ოჯახის ჩამნაცვლებელი მომსახურებები. დეინსტიტუციონალიზაცია უნდა დასრულდეს 2013 წელს. რეფორმის შემდგომი ეტაპია ქუჩაში მომუშავე და მცხოვრები ბავშვები, რომლებიც მზრუნველობამოკლებული ბავშვების სეგმენტში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ, – აღნიშნა მაჭავარიანმა.

საქართველოს დიდ ქალაქებში ქუჩის ბავშვებთან დაკავშირებული კვლევა 2008 წლის შემდეგ არ ჩატარებულა. ამ კვლევამ გამოავლინა, რომ მაშინ 1500-მდე ბავშვი ცხოვრობდა და მუშაობდა ქუჩაში. ზუსტი რიცხვის დადგენა ძნელია, რადგან უმრავლესობას არ გააჩნია პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც ბავშვებს ქუჩისკენ უბიძგებს, პირველ ადგილზე სიღარიბეა, რომელსაც მოსდევს უსახლკარობა, უმუშევრობა, ბავშვზე მზრუნველის არარსებობა და ოჯახური ძალადობა. მაჭავარიანის თქმით, გამოიყოფა ბავშვთა ორი კატეგორია – ბავშვები, რომლებიც ღამეს ქუჩაში ათენებენ, არ ჰყავთ ოჯახები და საკუთარ თავს თავად უზრუნველყოფენ; მეორე კატეგორია – ბავშვები, რომლებიც უმეტესად სახლში იძინებენ, მაგრამ დროის უდიდეს ნაწილს ქუჩაში ატარებენ.

მაგალითად, დათო 16 წლიდან ცხოვრობს კრიზისულ ცენტრში. სახლი, სადაც ის ადრე ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, ამ ცენტრის გვერდით მდებარეობს და ხშირად აგონებს იმ დღეებს, როცა ბედნიერად ცხოვრობდა ოჯახში. რამდენიმე წლის წინ ოჯახს სახლის გაყიდვა მოუწია, რათა მისი ძმა დაეხსნათ პატიმრობიდან. მალე მშობლებიც გაშორდნენ, მამამ სმა დაიწყო და ერთ წელიწადში გარდაიცვალა. დედა 60 წლის იყო, მუშაობა რომ დაიწყო სამოგზაურო სააგენტოში, მაგრამ მალე საბუთების გაყალბებისთვის დააკავეს. „მაშინ პირველად დავრჩი მარტო. მე 13 წლის ვიყავი. მეზობლებმა ბავშვთა სახლში წამიყვანეს. არ ვიცოდი დედა სად იყო. ერთ დღეს ვიღაც მოვიდა ციხიდან და დედასთან შესახვედრად წამიყვანა. მას შემდეგ ხშირად მივდიოდი მასთან", – იხსენებს დათო. 15 წლის იყო, დედა ციხიდან რომ გამოუშვეს. იმ პერიოდში ძალიან უჭირდათ. დედას უძნელდებოდა მისი შენახვა, ძმა კი არ ეხმარებოდა ოჯახს. ბიჭი სკოლაში არ დადიოდა და უმეტეს დროს ქუჩაში ატარებდა. ერთ დღეს, ტელევიზორის ყურებისას, დედამ წყალი სთხოვა, მიუტანა. იგი დაეცა. ბიჭმა ყვირილი დაიწყო, შველას ითხოვდა, მაგრამ დედა სასწრაფო დახმარების მისვლამდე გარდაიცვალა. იმ დღეს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ეძინა და ყველაფერი ცუდ სიზმარში ხდებოდა. ძმა არ აძლევდა მასთან დარჩენის ნებას და ეუბნებოდა, წადი, შენი გზა იპოვეო. შემდეგ იმ ბავშვთა სახლში მივიდა, სადაც რამდენიმე წლის წინ ცხოვრობდა, მაგრამ ადმინისტრაციამ არ მისცა იქ დარჩენის ნება და გააგზავნა კრიზისულ ცენტრში. მან ორჯერ სცადა თვითმკვლელობა. დედის დაკარგვა ძალიან მძიმე აღმოჩნდა, საკუთარ თავსაც კი ადანაშაულებდა, რომ ვერ დაეხმარა დედას. ახლა, როცა მომავალზე ეკითხებიან, ამბობს, რომ რადგან ღმერთმა აქამდე არ მიატოვა, ალბათ, მომავალშიც დაეხმარება. ის თითოეული დღით ცხოვრობს და არ იცის, რა იქნება მომავალში.

ჟანა ახლა 14 წლის არის და 7 წლიდან ქუჩაშია. დედა და მამინაცვალი აიძულებდნენ ქუჩაში მათხოვრობას. როცა დედას უთხრა, რომ აღარ სურდა ამის კეთება, დედამ დაარტყა. მამინაცვალი მთელ ფულს სასმლის და სიგარეტის საყიდლად ართმევდა. გოგონა გაექცა დედას და ბებიასთან წავიდა საცხოვრებლად, რადგან მხოლოდ ბებია ზრუნავდა მასზე. ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან ერთ დღეს, როცა გოგონა ბავშვებთან ერთად ეზოში თამაშობდა, მამინაცვალი მოვიდა და ძალით დააბრუნა ქუჩაში. მათხოვრობის დროს მას ქუჩაში მანქანა დაეჯახა და ხელი მოსტეხა. მშობლებმა მძღოლს 1500 ლარი გამოართვეს, მაგრამ მას არაფერი უყიდეს. საავადმყოფოში რომ იყო, ბებიის ნახვის ნებაც კი არ მისცეს. ჟანას და 4 თვის იყო, როცა დედამ უპატრონოდ დატოვა გარეთ და უცხოელებმა ბავშვთა სახლში მიიყვანეს. 6 წლის იყო, როცა მამინაცვალმა სახლში დააბრუნა. ბავშვი ტიროდა და ამბობდა, რომ არ უნდა დედასთან და მამასთან ცხოვრება. მისი და ახლაც ოჯახში ცხოვრობს და იძულებით ქუჩაში მათხოვრობს. ჟანა ერთი წლის წინ პატრულმა მიიყვანა გლდანის კრიზისული ცენტრის 24 საათიან თავშესაფარში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის. მას შემდეგ იქ ცხოვრობს და მიუხედავად იმისა, რომ მამინაცვალს მისი სახლში დაბრუნება უნდა, ჟანა უარს ამბობს ოჯახთან ერთად ცხოვრებაზე და ამბობს, რომ არ ჰყავს ოჯახი. კრიზის ცენტრში მას სკოლაში სიარულის შესაძლებლობა მიეცა. ამბობს, რომ არასოდეს დაბრუნდება თავის ოჯახში და 18 წლის რომ გახდება, თავად იპოვის საკუთარ გზას.

ასეთი ისტორიები არაერთია. დღეს არსებული მდგომარეობით, არ არსებობს სრულყოფილი სარეაბილიტაციო მომსახურებები, ამიტომ ახალი პროგრამის ფარგლებში აუცილებლად მოხდება სარეაბილიტაციო სერვისების სრული პაკეტის შეთავაზება.

როგორც მაჭავარიანმა აღნიშნა, პროგრამა ხელს შეუწყობს ქუჩაში მყოფი ბავშვების იდენტიფიკაციას, დადგინდება მათი სავარაუდო რაოდენობა. გამოიკვეთება პრობლემები და დაიგეგმება ამ პრობლემების გადაჭრის გზები; სადაც შესაძლებელია, ბავშვები დაბრუნდებიან თავიანთ ბიოლოგიურ ოჯახებში. იმ ბავშვებისათვის, რომელთა რეინტეგრაცია არ მოხერხდება, განისაზღვრება ალტერნატიული ზრუნვის ფორმა. მოხდება ასევე საზოგადოებაში ბავშვების ინტეგრირება. შექმნილმა სისტემამ საბოლოოდ ხელი უნდა შეუწყოს ქუჩაში მცხოვრები მიუსაფარი ბავშვების რაოდენობის შემცირებას. ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ქვეყანაში მაინც სიღარიბე რჩება და ბავშვების ქუჩაში გასვლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზიცაა. საქართველოში 77 ათასი ბავშვი ჯერ კიდევ სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ანუ დღეში მხოლოდ 2 ლარს მოიხმარს.

# თავდაცვის სამინისტრომ 2012 წელს ლილოს მოვაჭრეებისთვის სატელიტური ანტენების ჩამორთმევის დეტალები გაახმაურა

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის ანდრია გოცირიძის ინფორმაციით, 2012 წლის 7 ივლისს, თავდაცვის სამინისტრომ ლილოს ბაზრობის მოვაჭრეებისგან, შემდგომი გადახდის პირობით, დიდი რაოდენობით სატელიტური ანტენა წამოიღო.

წარმოდგენილი ინვოისების თანახმად, სულ ჩამორთმეულია 2 719 ცალი ანტენა, 1 419 ცალი - „რესივერი" და 479 ცალი - „ლნბ".

ჩამორთმეული საქონლის საერთო ღირებულებამ 141 616 ლარი შეადგინა. დამსწრეთა განმარტებების თანახმად, სატელიტური ანტენების წაღების მომენტში საქონლის გადათვლა არ მომხდარა. ვერ მოესწრო სრული რაოდენობის საქონლის წაღებაც, რადგანაც აღნიშნულ ქმედებას შესაძლოა რეზონანსი მოჰყოლოდა.

როგორც ანდრია გოცირიძემ განაცხადა, აღნიშნულ პროცესში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის მაღალჩინოსნები მონაწილეობდნენ. მათ იმავე დღეს საქონლის ნაწილი საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ქვეითი ბრიგადის ტერიტორიაზე შეიტანეს. დარჩენილი ნაწილი კი - ოქტომბრის დასაწყისში, რომლებიც მანამდე ლილოს ბაზრობის ტერიტორიაზე იყო, დასაწყობდა და დაილუქა.

„დასაწყობების პერიოდში საქონლის გადათვლა და შესაბამისი დოკუმენტური აღრიცხვა არ განხორციელებულა. ამასთანავე, სატელიტური ანტენების ნაწილი ოქტომბრის თვეში სხვადასხვა ქვედანაყოფზე განაწილდა, რომელიც შემდგომ აღრიცხვისსა და საბუთების გარეშე, სამხედრო ნაწილებში დამონტაჟდა. ასევე- უსაფუძვლოდ გაჩუქდა პირად შემადგენლობაზე. ამჟამად, მე-4 ქვეითი ბრიგადის ტერიტორიაზე 1 079 სატელიტური თეფში (მათ შორის, 812 კომპლექტის გარეშე) და 285 ცალი „რესივერია" დასაწყობებული" - აღნიშნა გენერალური ინსპექციის უფროსმა.

მოგვიანებით კი, 2012 წლის 12 ივლისს, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ჟ-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტის მიერ, ჩამორთმეულ საქონელზე შესყიდვის მოთხოვნა საიდუმლო გრიფით განხორციელდა.

ანდრია გოცირიძის განცხადებით, სატელიტური ანტენების შეძენის მიზნობრიობა ვერ საბუთდება.

„არ ყოფილა კანონმდებლობასთან შესაბამისი შესყიდვის არანაირი მოთხოვნა. სამხედრო პოლიციის წარმომადგენლების ორგანიზებით მოხდა ლილოს ბაზრობის მოვაჭრეებისგან სატელიტური ანტენების წამოღება. შესყიდვაზე თანხა გადარიცხულია რამოდენიმე დღის შემდეგ. ასევე, კანონის დარღვევით, დაგვიანებით არის გაკეთებული შესაბამისი დოკუმენტაცია შეკვეთასთან დაკავშირებით" - აცხადებს გოცირიძე.

მისივე ინფორმაციით, ეს გარემოება საფუძვლიან ეჭვს იწვევს, რომ სატელიტური ანტენების ჩამორთმევა და შემდგომ შეძენა, აღნიშნულ პერიოდში საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს უკავშირდება.

"სატელიტური თეფშების და მაკომპლექტებელი ნაწილების ბალანსი ერთმანეთს არ ემთხვევა. შესაბამისად, არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ ანტენები ამოიღეს იმ მიზნით, რომ არ მომხდარიყო მათი მოსახლეობაზე გაყიდვა" - განაცხადა ანდრია გოცირიძემ.

ნიუსპრესი

# დღეს ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესი გაიმართება



დღეს, 28 თებერვალს, 11:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით დაკავებული თავდაცვის სამინისტროს ექს-მაღალჩინოსნების: ბაჩო ახალაიას, გიგი კალანდაძის, ზურაბ შამათავას და სხვა პირების მოსამზადებელი სასამართლო სხდომა გაიმართება.

დღეს არსებითი განხილვა არ მოხდება და საუბარი შეეხება საქმეში არსებული მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხს. გარდა ამისა, დაცვის მხარე აპირებს, რომ ახალაიასთვის აღკვეთი ღონისძიების ფორმის შეცვლა მოითხოვოს. დაცვის მხარე აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც საქმის ერთ-ერთმა ფიგურანტმა და ბრალდებულმა, გაგა მკურნალიძემ ჩვენება შეცვალა და ბრალდება არ აღიარა, პროკურატურას არც ერთი რეალური მტკიცებულება აღარ დარჩა, რის გამოც ახალაიას პატიმრობის ნაცვლად გირაოს გადახდა უნდა შეეფარდოს. მკურნალიძემ ახალაიას წინააღმდეგ მიცემული ჩვენება 20 თებერვალს შეცვალა.

როგორც ცნობილია, ზემოხსენებულ საქმეზე პირველი სასამართლო პროცესი 25 დეკემბერს უნდა გამართულიყო, თუმცა პროკურატურის მოთხოვნით მოსმენის თარიღი ორჯერ შეიცვალა. ახალაიას ადვოკატები ფიქრობენ, რომ პროკურატურას სასამართლო პროცესის დაწყების თარიღის გადავადება მოუმზადებლობისა და მტკიცებულებების არარსებობის გამო დასჭირდა.

არსებული ინფორმაციით, ხვალისათვის დაგეგმილ სასამართლო პროცესს ახალაიას ახლობლები და მხარდამჭერები დაესწრებიან. როგორც „მედიანიუსს" ახალაიას ერთ-ერთმა მხარდამჭერმა თეა თუთბერიძემ განუცხადა, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის დავალებით ხვალისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოსთან მათ წინააღმდეგ პროვოკაცია იგეგმება. ამის გამო დღეს ახალაიას მეუღლემ, ანი ნადარეიშვილმა შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მოუწოდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოსთან წესრიგი უზრუნველყოს და შესაძლო ექსცესების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებები გაატაროს.

ცნობისთვის: მთავარ პროკურატურაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე გამოძიება გასული წლის ნოემბრის თვეში, ხელისუფლებაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ დაიწყო. ზემოხსენებული დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით.

პროკურატურის მტკიცებით, გამოძიებით დადგენილია, რომ 2011 წლის ოქტომბერში თავდაცვის მინისტრმა ბაჩანა ახალაიამ, თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის უფროს გიორგი კალანდაძესთან და მე-4 ბრიგადის მეთაურ ზურაბ შამათავასთან ერთად, თავდაცვის მინისტრის სამუშაო კაბინეტში ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა 6 სამხედრო მოსამსახურეს. ამასთან. ბაჩანა ახალაიამ ერთ-ერთ სამხედრო პირს – შოთა ბედოშვილს – დანის ტარი თავში ჩაარტყა.

აღნიშნულის შემდეგ ბაჩანა ახალაიამ ზემოაღნიშნული სამხედრო მოსამსახურეები ვაზიანში დისლოცირებულ მე-4 ბრიგადაში გადაიყვანა. აქ, ბრიფინგის ოთახში მათ კვლავ სცემეს და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამის შემდეგ დაზარალებულთა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა გაგრძელდა მე-4 ბრიგადის პირადი შემადგენლობის, დაახლოებით 20-30 კაცის წინაშე, ეზოში (ე.წ. „პლაცზე") მოწყობილი სამხედრო მოსამსახურეების თვალწინ.

გატარებული ღონისძიებების შედეგად დაკავებული იქნენ ბაჩანა ახალაია, ზურაბ შამათავა და გიორგი კალანდაძე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალდებით. კალანდაძეს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გადახდა, ხოლო ახალაიას – წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ზემოხსენებული სასამართლო საქმის მონიტორინგს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) სადამკვირვებლო ჯგუფი აწარმოებს.

**მედიანიუსი**

# გამოცდების ეროვნული ცენტრი 1 მარტიდან აქციას იწყებს

„ქარჩხაძის გამომცემლობა" და გამოცდების ეროვნული ცენტრი 1 მარტიდან იწყებენ ერთობლივ აქციას „ჩვენ ერთად ვავრცელებთ ცოდნას".

„ქარჩხაძის გამომცემლობა" უწესებს წიგნებზე გრძელვადიან ფასდაკლებას მთელი საქართველოს მასშტაბით შემდეგ ჯგუფებს: სერტიფიცირებული მასწავლებლები; 2012 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში გასული აბიტურიენტები, რომლებმაც ყველა ჩაბარებულ საგანში მაქსიმალური ქულის ნახევარზე მეტი დააგროვეს და მოიპოვეს სწავლის გაგრძელების უფლება; 2013-2014 სასწავლო წლის სასკოლო ოლიმპიადის მესამე ტურში მონაწილე მოსწავლეები.

1 მარტიდან ამ ჯგუფებში შემავალ ადამიანებს შეეძლებათ დარეგისტრირდნენ „ქარჩხაძის გამომცემლობის" ვებ გვერდზე www.karchkhadze.ge და 6 თვე ისარგებლონ 17% ფასდაკლებით ამ გამომცემლობის ნებისმიერ წიგნზე. რაც მთავარია, წიგნები თბილისში მიეწოდებათ მითითებულ მისამართებზე, რეგიონებში კი – იქაური ლიბერთი ბანკის/ფოსტის ოფისში, ყოველგვარი დამატებითი გადასახადის გარეშე.

**მედიანიუსი**

**აუდიტი**

**გთავაზობთ „C" და „B" კატეგორიის ალტერნატიულ საგადასახადო შემოწმებას.**

**დაიმახსოვრეთ ტელეფონები:**

**2-52-67-37; 5-99-26-55-85.**

# რატომ არის ქართული ბაზარი ყველა უცხოური პროდუქტისთვის ღია

*გულიკო ბალაძე*

გუშინ ადამიანის უფლებების დამცველმა გიორგი თევზაძემ პრესკონფერენცია გამართა და სხვადასხვა პრობლემურ საკითხებზე ისაუბრა, რომელიც საზოგადოებას დღეს აწუხებს.

გიორგი თევზაძემ განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია გამოვიდა ინიციატივით, საქართველოს შს სამინისტროსთან შექმნილიყო საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფი, მაგრამ გამოხმაურება ჯერ არ მოჰყოლია.

– საზოგადოებაში ხშირად სხვადასხვა პირებისაგან ვრცელდება ინფორმაციები სამინისტროს სტრუქტურული სამსახურებისგან მათი უფლებების ხელყოფის თაობაზე. სწორედ ამ ინფორმაციებზე რეაგირების და რეალური ვითარების გარკვევის სურვილით, ჩვენ მიერ ინიცირებული იქნა ინიციატივა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ. ასეთი ჯგუფი სინქრონში ითანამშრომლებდა სისტემასთან და საზოგადოებას მიაწვდიდა ობიექტურ ინფორმაციას, მსგავსი წყაროების სისწორისა თუ უსწორობის შესახებ, რაც შედის როგორც საზოგადოების, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერესებში. თუმცა, დღემდე უცნობია, რას ფიქრობს ამ საკითხზე შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც ამ თვალსაზრისით არ აქტიურობს. გსურს სამინისტრომ დაამკვიდროს თანასწორუფლებიანი, პარიტეტულ საწყისებზე დაფუძნებული ურთიერთობები არასამთავრობო სექტორთან. არსებული ტენდენციით და შერჩევითი პრინციპით, სამწუხაროდ, არაერთი უწყება გამოირჩევა. ვიმედოვნებთ, ეს ყველაფერი არ ატარებს მიზანმიმართულ ხასიათს. ასევე ვიმედოვნებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოეხმაურება ჩვენს ინიციატივას, – განაცხადა გიორგი თევზაძემ

გიორგი თევზაძემ ყურადღება გაამახვილა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ქართული მიწების გასხვისების ფაქტებზე და განაცხადა, რომ ეს პრობლემა ხელისუფლებამ კანონმდებლობით უნდა მოაგვაროს.

– უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ ქართული მიწების შეძენამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით აქტიურობენ ინდოელები, ჩინელები და სხვა ქვეყნის მოქალაქეები, რაც ადგილობრივი მცხოვრებლების უკმაყოფილებას იწვევს. განსაკუთრებით ეს ფაქტები გახშირდა კახეთის რეგიონში და ტენდენციად იქცა. ამას ხელისუფლების მხრიდან სწორი, კორექტული და კანონიერი რეაგირება სჭირდება. ბუნებრივია, ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი სწორად განხორციელებული ინვესტიციების, მაგრამ როცა მცირემიწიან ქვეყანას წარმოვადგენთ, რასაც ემატება საზოგადოების სოციალური სიდუხჭირე, აუცილებლად უნდა არსებობდეს სწორი სახელმწიფო პოლიტიკა პრიორიტეტებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს საქართველოს მოქალაქეების ინტერესების პრიორიტეტულ დაცვას და გარკვეულ სამართლებრივი შეზღუდვებს უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ ქართული მიწების შესყიდვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ჩვენ პრიორიტეტულ მიმართულებად ვგულისხმობთ საქართველოს მოქალაქეებისთვის ყველა აუცილებელი წინაპირობის შექმნა, რათა გაჭირვების გამო, ქართველი გლეხის მფლობელობაში არსებული მიწა მარტივად არ აღმოჩნდეს უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში, რამაც ბოლო პერიოდში საკმაოდ ინტენსიური სახე მიიღო. როგორც საზოგადოებაში გაჟღერებული ინფორმაციით ხდება ცნობილი, მიმდინარეობს მიზანმიმართული რეკლამირება საქართველოსა და უცხოეთში უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაინტერესებლად და მიწების შეძენ უცხო ქვეყნის მოქალაქეების მოსაზიდად. ამან კამპანიური სახე შეიძინა. ამ ტენდენციის შემდგომი გაგრძელების შემთხვევაში, ქართული საზოგადოების გაჭირვებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიძლება უახლოეს წლებში მივიღოთ ქართული სახელწოდების სოფლები უცხოელთა ბინადრობით და, ამ პროცესთან დაკავშირებული სხვა ნეგატიური ტენდენციებით, – აღნიშნავს გიორგი თევზაძე.



გიორგი თევზაძის თქმით, აგრარული ბაზრის მიმართ დაწყებული პოლიტიკა მისასალმებელია. ამ პოლიტიკის სწორად წარმართვის შემთხვევაში, შედეგი იქნება რამდენიმე წელიწადში, მაგრამ ამ პერიოდში შესაძლებელია საქართველომ ქართული მიწის ბაზარი დაიკარგოს საქართველოს მოქალაქეებისთვის. უცხოელების აქტიურობა ამ ტენდენციაზე უკვე მიუთითებს.

– ხელისუფლების გადაუდებელ ამოცანას და ვალდებულებას წარმოადგენს ქართული მიწის ბაზრის საკანონმდებლო რეგულირება იმ მიმართულებით, რომ დადგინდეს სამართლებრივი შეზღუდვები უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ქართული მიწების შეძენაზე. შესაძლებელია ეს შეზღუდვები უკავშირდებოდეს რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ბინადრობასთან და სხვა მოთხოვნებთან, რომელიც დაარეგულირებს უცხოელთა გამოკვეთილ და გაცნობიერებულ სურვილს საქართველოში უძრავი ქონების შეძენაზე. ქართული მიწის ფასი ყველაზე უკეთ ქართველმა გლეხმა იცის, მას მხოლოდ სწორი და სისტემური დახმარება ესაჭიროება სახელმწიფოსგან, რომ თვითონ უზრუნველყოს ქართულ მადლიან მიწაზე მყარად დამკვიდრება და მომავალი თაობებისთვის მიწის გადაცემა. ვიმედოვნებთ, ქართულ მიწებთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკა დაეფუძნება არა პიარს, არამედ ქართული ტრადიციული საკომლო მეურნეობების დაცვასა და განვითარების ხელშეწყობას, – აცხადებს გიორგი თევზაძე.

გიორგი თევზაძის თქმით, ქართული ბაზარი ყველა მსურველი უცხო ქვეყნისათვის ადვილად ხელმისაწვდომია, მიუხედავად იმპორტირებული საქონლის ხარისხისა, მაშინ როდესაც, ქართული პროდუქტებისთვის ყველა სხვა ბაზარი დაკეტილია სწორედ ხარისხისა თუ სხვა მიზეზით. საჭიროა და დაცული უნდა იყოს ქართველი მეწარმეებისა და რიგითი მომხმარებლების ინტერესები.

– ქართული პროდუქციის ექსპერტი მის საზღვრებს გარეთ სხვადასხვა მიზეზით დაბრკოლებებს შეგნებულად აწყდება. ასეთი დაბრკოლებები ექმნება ქართულ პროდუქციას აზერბაიჯანში, სომხეთსა და თურქეთში გატანისას, რომ არაფერი ითქვას რუსულ ბაზარზე. მაშინ როდესაც, უცხოეთიდან თავისუფლად შემოდის და რეალიზაცია უკეთდება ხშირ შემთხვევაში უხარისხო პროდუქციას. ბუნებრივია, ამაზე პასუხს ვერ მოვთხოვთ ჩვენს მეზობლებს. პასუხისმგებლობა ეკისრება ქართულ ხელისუფლებას და შესაბამის სტრუქტურებს, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა, გააკონტროლოს საქართველოში შემოსული პროდუქციის ხარისხი და სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტად აქციონ ქართული პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობა. წლების მანძილზე დამკვიდრებული არასწორი პოლიტიკისა და დაუდევრობის შედეგია, დღეს ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე არსებული მძიმე ვითარება, სადაც უპრობლემოდ იყიდება ვირუსით და სხვადასხვა სახის დაავადებებით შემოტანილი ბოსტნეული, სხვა უხარისხო პროდუქცია. წლების წინ მიზანმიმართულად ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და ხარისხის კონტროლის განმახორციელებელი სისტემების დაკნინების შედეგს დღეს ვიღებთ. ამიტომ სახელმწიფომ უნდა დააჩქაროს უარყოფითი ტენდენციების გამოსწორება და ქართულ ბაზარზე არსებული უხარისხო პროდუქციისაგან საზოგადოების დაცვა. ჯერჯერობით ვერ ვხედავთ ხელისუფლების პოლიტიკას და შესაბამის ნაბიჯებს ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებების მოსახსნელად. რატომღაც ქართული ღვინის ექსპორტი რუსეთში ლამის სახელმწიფოს პოლიტიკის მწვერვალად იქცა. ჩვენი სურვილია ანალოგიური მიდგომები იყოს ყველა სხვა ქართულ პროდუქციაზე პარალელურად, – ასეთია გიორგი თევზაძის პოზიცია.

გიორგი თევზაძე აღნიშნავს აგრეთვე, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მდგომარეობა უმძიმესია.

– ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის თითქმის ყველა საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო ნორმის უხეშ დარღვევას. დარღვეულია ქართულ ენაზე განათლების მიღების, გადაადგილების, საკუთრების, სამართლიანი მართლმსაჯულების, კორესპონდენციების, პირადი საუბრების, მიმოწერის ხელშეუხებლობისა და სხვა უმნიშვნელოვანესი უფლებები. რუსეთის საოკუპაციო ჯარი ავიწროებს ადგილობრივ ეთნიკურად ქართულ და სხვა ეროვნების მოსახლეობას. ადგილი აქვს ქართული კულტურული ძეგლების მიზანმიმართულ განადგურებას და ვანდალიზმის არაერთ ფაქტს, რომლის დანიშნულებაა ქართული წარმომავლობის კვალის გაქრობა და ისტორიის გადაწერა ფაქტების გაყალბების გზით და ადგილობრივი ახალი თაობის მიზანმიმართულად არასწორ წყაროებზე დაყრდნობით განათლების მიცემას, რაც ნამდვილად არ წაადგება ქართველი და აფხაზი ეთნოსის დაახლოებას და ურთიერთგაგებას. სამწუხაროდ, რუსეთი აგრძელებს ეთნიკური ჯგუფების გათიშვის იგივე პოლიტიკას, რასაც აწარმოებდა ჯერ კიდევ მეფის რუსეთი. რუსეთის მცდელობები მხოლოდ მაშინ იქნება რეალური, როცა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიებზე რუსეთის პოლიტიკა რეალურად შეიცვლება და საოკუპაციო რეჟიმი გაუქმდება, ჯარები გავა. ჩვენ არ გვაქვს ილუზია, რომ ეს მარტივი და მოკლევადიანი პროცესია, თუმცა, აუცილებელია გამოიკვეთოს რუსეთის პოლიტიკური ნება დეოკუპაციის პროცესის დაწყებაზე, რაც სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ნამდვილად არ იკვეთება. ყველა სხვა სახის ურთიერთობა მხოლოდ ბუტაფორიაა, რომლითაც დიდი ალბათობით მხოლოდ რუსეთი გამოვა გამარჯვებული. ამიტომ საქართველოს ხელისუფლებას ევალება ყველა დიპლომატიური ნაბიჯი გადადგას მხოლოდ ქვეყნის სტრატეგიული პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით.

გიორგი თევზაძეს მიაჩნია, რომ ხალხის მოლოდინი ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე ამის რეალური რესურსი არსებობს.

– 100 დღიანი ანგარიში აჩვენებს, რომ შესაძლებელია საზოგადოებისთვის მეტი შედეგის მომტანი ყოფილიყო ეს პერიოდი. ჩვენთვის გასაგებია, რომ შეუძლებელია ასეთ პატარა პერიოდში მოხერხდეს მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტა, მაგრამ მძიმე სოციალური ფონის გამო, საზოგადოების პირველი რიგის ამოცანაა, ელემენტარული სოციალური პრობლემების გადაწყვეტა, ზოგადად ქვეყანაში. ასევე სამართლიანობისა და ასევე სოციალური სამართლიანობის აღდგენა. მივესალმებით ახალი ხელისუფლების უარს ზოგიერთ ისეთ პროექტზე, რომელიც ამ ეტაპზე ნამდვილად არ შედიოდა საზოგადოების მოთხოვნილებებში და გამართლდება საზოგადოების მოლოდინი ამ თანხების სოციალურ პროგრამებში გადამისამართების შესახებ.

კითხვაზე, საპატიმრო დაწესებულებებში რამდენად გამოსწორდა არსებული მდგომარეობა, გიორგი თევზაძემ უპასუხა:

–– ფაქტია, რომ პატიმრების მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია და გამოკვეთილია ახალი ხელისუფლების მცდელობები ვითარების გასაუმჯობესებლად. ეს რთული პროცესია და მრავალ ძალისხმევას საჭიროებს. მივესალმებით პირველი დაწესებულების გაუქმებას, რომელიც პატიმრებისათვის ნამდვილად ღირსების შემლახველი იყო. პატიმრების იმ ვითარებაში დატოვება უთანაბრდებოდა წამებას. ასეთივეა ქალთა დაწესებულება, რომელიც მდებარეობს რუსთავის გარეუბანში და, როგორც ცნობილია, აშენებულია რთულ გეოგრაფიულ გარემოში, ქმნის არაჯანსაღ ვითარებას პატიმრებისა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, რადგან პატიმრების საცხოვრებელ ადგილებში სჭარბობს სინესტე. ვიმედოვნებთ, დაჩქარდება დაწესებულებების პასპორტიზაციის პროცესი და განხორციელდება სისტემის მხრიდან დღეს არსებული მდგომარეობის ადეკვატური პროგრამები. ვფიქრობთ, განახლდება პენიტენციური სისტემის რეალური საზოგადოებრივი მონიტორინგიც, თუმცა, სახალხო დამცველის ეგიდით.

# ახმეტელის თეატრი ზესტაფონში ჩავიდა

ეკა ირემაშვილი

გასულ კვირას ახმეტელის თეატრმა კიდევ ერთ პროექტში მიიღო მონაწილეობა. „თეატრი თეატრისთვის“ – ასე ეწოდებოდა ღონისძიებას, რომელიც ზესტაფონის თეატრში გაიმართა. ახმეტელის თეატრმა პროექტის ფარგლებში წარმოადგინა სპექტაკლი „გივი ტაქსისტის სიყვარულის ისტორია“, რომელიც რეჟისორმა მალხაზ ასლამაზიშვილმა რეი კუნის პიესის მიხედვით დადგა. სპექტაკლის მხატვარია აივენგო ჭელიძე, კოსტუმების მხატვარი – ბარბარა ასლამაზაშვილი, ქორეოგრაფი – ბაქარ ხინთიბიძე. წარმოდგენაში დაკავებული არიან მსახიობები ბაჩო ქაჯაია (გივი), გვანცა კანდელაკი (ლიკა), თამთა პატაშური (ეკა), კოკო როინიშვილი (სერგო), ანდრო სარიშვილი (ვახო), გიორგი ქსოვრელი (ნუგზარ ბერაძე), კახა ჯოხაძე (გურამ გვალია), ზურაბ იაშვილი (რეპორტიორი).

– ეს არის ისტორია ტაქსის მძღოლისა, რომელსაც აქვს ორი ბინა და ჰყავს ორი ცოლი. ამის შესახებ არავინ არაფერი არ იცის, მაგრამ მოულოდნელი შემთხვევის წყალობით შეიძლება გამოაშკარავდეს და ტაქსისტის მშვიდ და იდილიურ ცხოვრებას, საშიშროება შუქმნას. ამის თავიდან აცილების მიზნით ტაქსის მძღოლი ათასგვარ ხრიკს მიმართავს. მის მიერ მოგონილი ყოველი ტყუილი, ისევ ახალ ტყუილს ბადებს და ამით პიესაში იქმნება კომიკური სიტუაციები, რაც პერსონაჟებს სასაცილო და გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს, – ამბობს სპექტაკლის რეჟისორი მალხაზ ასლამაზიშვილი.

**ბაჩო ქაჯაია, მსახიობი:**

– ძალიან კარგია, როცა ეწყობა თეატრალური დასების გასვლები სხვადასხვა თეატრების მიერ საქართველოს რეგიონებში. მიხარია, იმიტომ რომ სხვა ქალაქის, სხვა რეგიონის, სხვა რაიონის მაყურებელთან გვექნება კონტაქტი, გავიგებთ რა არის მათთვის მისაღები ან მიუღებელი. სასიამოვნოა აზრთა გაცვლის პროცესი, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა არის მათთვის საინტერესო. უშუალო კონტაქტი მაყურებელსა და მსახიობებს შორის, უფრო მეტ გამოცდილებას გვაძლევს და ამიტომაც საქართველოს ნებისმიერ ქალაქში გასტროლით ჩასვლა ჩემთვის სასიხარულოა.

*– ღელავთ?*

– ცოტას კი. ყველა თეატრში თამაში დიდი პასუხისმგებლობაა, მაგრამ განსაკუთრებით ზესტაფონში უშანგი ჩხეიძის სახელობის თეატრში თამაშია საპასუხისმგებლო, თუმცა ჩემთვის ყველა თეატრის სცენაზე თამაში უდიდესი პასუხისმგებლობაა.

**კახა ჯოხაძე, მსახიობი:**

– თეატრში სანამ შემოხვალ ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ თეატრი არის აკადემიური. რა თქმა უნდა, თეატრს აქვს ძალიან დიდი წარსული, ბევრი მაყურებელი დადის ამ თეატრში. ამას ფოიეში გამოფენილი სურათებიც მოწმობს. საოცარი ადამიანების ფოტოებია გამოფენილი. ბატონი სერგო ზაქარიაძე რომ ქართული



თეატრის კორიფეა, ამას ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება. ზესტაფონის თეატრი დიდი კულტურის მატარებელია და ატარებს უშანგი ჩხეიძის სახელს. ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია, როცა გვიწევს ასეთი დიდი მსახიობის სახელობის თეატრში თამაში, მით უმეტეს, ახალგაზრდული თეატრის დასისთვის. ახმეტელის თეატრის ახალგაზრდული დასი ჩამოვედით ზესტაფონში და ვეცადეთ ჩვენი თეატრი წარმოგვეჩინა საუკეთესო კუთხით და სპექტაკლი, რომელიც ჩამოვიტანეთ, არის ის, რითიც შეგვიძლია სათქმელი ვუთხრათ ზესტაფონელ მეგობრებს, აქაურ მაცხოვრებლებს. გვინდოდა მათთვის გვეჩვენებინა რას ვაკეთებთ, ამას ცუდი გაგებით არ ამბობ, თითქოს მათ კლასი უნდა ვაჩვენოთ, პირიქით, ჩვენი სურვილია გავცვალოთ თეატრალური ურთიერთობები. დიდი მადლობა ყველას, ვინც მოვიდა, დაგვაფასა და ჩვენი მუშაობა დააფასა.

**თამაზ გოლაძე, ახმეტელის თეატრის მმართველი:**

– ეს არის აქცია „თეატრი თეატრისთვის“ და ძალიან კარგი აქციაა. მიმაჩნია, რომ საინტერესოა მსგავსი პროექტები იმით, რომ შანსი გვაქვს ერთმანეთს კიდევ ერთხელ შევხვდეთ, ვნახოთ, სად გვიჭირს, სად გვილხინს, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ შესაძლებლობის არქონის შემთხვევაში ადგილზე მოსახლეობას აქვს საშუალება ნახოს დედაქალაქის სპექტაკლები, ასევე დედაქალაქის მაყურებელს აქვს საშუალება ნახოს რაიონის სპექტაკლები. ძალიან კარგი იდეაა და მას უფრო გაფართოება სჭირდება, რაც უფრო მეტი თეატრი ჩაერთვება ამ აქციაში, მით უკეთესი. ამ პროექტში გარკვეულწილად ხელისუფლებამაც უნდა მიიღოს მონაწილეობა. მართლა ძნელია ამ ყველაფრის თავის მოყრა, მაგრამ მიუხედავად სირთულეებისა, ვაკეთებთ და მომავალშიც გავაკეთებთ. მერე რა, რომ გარკვეულწილად უჭირს ქვეყანას, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ხვალ, ზეგ და მაზეგ გავიდეთ იმ სწორ გზაზე, რომელზეც აუცილებლად უნდა იყოს ჩვენი სამშობლო.

**ხათუნა ასათიანი, ზესტაფონის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი:**

– ეს აქცია დაიწყო იქიდან, რაც გადავწყვიტეთ, რომ თეატრში უფრო მეტ მაყურებელს ევლო. გვინდოდა ადგილობრივი მაცხოვრებლები კიდევ უფრო დაგვეინტერესებინა, მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებული არიან. სამწუხაროდ, სპექტაკლი რაიონში და კერძოდ ზესტაფონში კვდება მეორე-მესამე სპექტაკლზე. პრემიერის შემდეგ კიდევ ორ სპექტაკლს ნახავს მაყურებელი და წარმოდგენა უკვე კვდება. მუდმივი მაყურებლის ყოლა ნიშნავს თეატრის გაცოცხლებას, ამიტომ გადავწყვიტეთ თბილისიდან ჩამოგვეყვანა თეატრალური დასები და მათ წარმოედგინათ თავისი დადგმები. გვინდოდა მაყურებელი მოჩვეოდა თეატრს და უფრო აქტიურად ევლო.

*– რამდენი თეატრის დასი მოიწვიეთ?*

– რუსთაველის თეატრი უკვე იყო ჩამოსული, მარჯანიშვილის თეატრიც იყო, მესამე გასტროლი არის ახმეტელის თეატრის, მომავალში ველოდებით თუმანიშვილის თეატრს, მოზარდ მაყურებელთა თეატრს, შეიძლება თავისუფალი თეატრიც ჩამოვიდეს. ჩვენს პროექტს სპეციალურად ვუწოდეთ „თეატრი თეატრისთვის“, რადგან თეატრი სადაც არ უნდა იყოს, ერთი მთლიანი ოჯახია, ამიტომ ყველა თეატრს ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობა უნდა ჰქონდეს. როგორც ოჯახის წევრს ვეხმარებით ხოლმე გაჭირვების დროს, ასევე უნდა დავეხმაროთ საქართველოს თეატრები ერთმანეთს და მხარში ამოვუდგეთ. ამ შემთხვევაში ზესტაფონის თეატრს სჭირდებოდა დახმარება და თბილისის თეატრები შემოგვიერთდნენ. როცა ახალციხის თეატრს სჭირდებოდა დახმარება, ჩვენც ჩავედით და დავუდექით გვერდში.

*– გაამართლა თქვენმა აქციამ?*

– მგონია, რომ გაამართლა. 170 მუდმივი მაყურებელი ყველა სპექტაკლზე დადის და ეს ჩვენი თეატრისთვის ცოტა ნამდვილად არ არის. ვიცით, რომ ყოველი ჩამოსული თეატრის სპექტაკლს 170 მაყურებელი ესწრება. თუ ვინმე დაგვემატება, ეს მთლად უკეთესია. ახმეტელის თეატრის გასტროლზე, მაგალითად 170-ზე მეტი მაყურებელი მოვიდა. კიდევ ცუდი ამინდი დაემთხვა, თორემ უფრო მეტი მაყურებელიც მოვიდოდა.

*– როგორი მაყურებელია ზესტაფონში?*

– არაჩვეულებრივი. მართლა კარგი მაყურებელია ზესტაფონში. იციან მსახიობის შრომის ფასიც, მისი დამსახურებაც და დაფასებაც.

**ნინო ჭუმბურიძე, მაყურებელი:**

– ძალიან კმაყოფილი ვარ, ძალიან მომეწონა, არ ველოდი ასეთ კარგ სპექტაკლს. ბედნიერი ვიქნები, თუკი ხშირად მოეწყობა ზესტაფონის თეატრში ასეთი კარგი სპექტაკლების ჩვენება და სხვა თეატრებიც თუ ჩამოვლენ.

**თაკო დოლბაძე, მაყურებელი:**

– ძალიან მომეწონა სპექტაკლი, მართლა კარგი იყო, კარგად გავერთე. საერთოდ კომედიური ჟანრის სპექტაკლები უფრო მომწონს, მაგრამ არის ტრაგედიული ჟანრის სპექტაკლებიც, რომელიც მომწონს. მინდა ხშირად ჩამოვიდნენ სხვა ქალაქების თეატრები ჩვენთან და თეატრში კიდევ უფრო დიდი ინტერესით ვივლით.

**მიშა გელაშვილი, მაყურებელი:**

– ძალიან მაგარი სპექტაკლი იყო, სასაცილო, გავმხიარულდი და კარგ განწყობაზე დამაყენა. ცოტა დასაფიქრებელი სპექტაკლიც არის, ადამიანმა ისეთი ტყუილი არ უნდა თქვა, მერე რომ თავის დაძვრენა ველარ შეძლო, ამიტომ სანამ რამეს ვიტყოდეთ, კარგად უნდა დავფიქრდეთ.

**ნანა პერანიძე, მაყურებელი:**

– ძალიან ნასიამოვნები ვარ, იყო ძალიან სახალისო, საინტერესო და დამაფიქრებელი სპექტაკლი. ლაშიკოს და ვახუნხულას ნახვა გამიხარდა. მთლიანობაში კარგი სპექტაკლია და თუკი ახმეტელის თეატრს სხვა თეატრებიც მიბაძავენ და ჩამოვლენ ზესტაფონში, უფრო კარგი იქნება.

# გურამ ოდიშარია სამეგრელოს სტუმრობდა

## რა გეგმები აქვს კულტურის სამინისტროს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია საგანგებო დელეგაციასთან ერთად სამეგრელოს ესტუმრა. დელეგაციაში შედიოდნენ მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი და მინისტრის მრჩევლები ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი და გიორგი გეგეჭკორი. გურამ ოდიშარიამ აბაშაში ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი, საზოგადო მოღვაწისა და ქველმოქმედის აკაკი ხოშტარიას 1915 წელს აშენებული სახლი, სუკუნის წმიდა გიორგის საკათედრო ტაძარი და სინაგოგა მოინახულა. დელეგაციამ მარტვილის სინაგოგაც დაათვალიერა სოფელ ბანძაში და ებრაელთა სასაფლაოზეც იმყოფებოდა. მარტვილში კულტურის მინისტრი ესტუმრა ტრიფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლს და მარტვილის გივი ელიავას სახელობის ეროვნულ მუზეუმს. დელეგაციას თბილისიდან მეუფე პეტრემ, ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტმა უმასპინძლა. მინისტრი ასევე გამოეხმაურა გაზეთ „მარტვილის“ მთავარი რედაქტორის ფაუსტ ნადარაიას ღია წერილს, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ მარტვილის რაიონში, ვედითკარის საკრებულოს სოფელ მუხურჩაში გასხვისდა ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც მდიდარია არქეოლოგიური მასალებით. მინისტრმა თავად მოინახულა ეს ტერიტორია, ამჟამად სამინისტრო ამ საკითხს სწავლობს.

მარტვილიდან კულტურის მინისტრი ეწვია სენაკის სინაგოგას, ხოლო ხობში, ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმს. დღის ბოლოს კულტურის სამინისტროს დელეგაციამ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრი და დადიანების სასახლე მოინახულა.

კულტურის სამინისტროს დელეგაცია ფოთსაც სტუმრობდა, სადაც მათ მასპინძლობა ფოთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ეკა ბესელიამ და თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერმა დავით სარსანიამ უმასპინძლეს. დელეგაციამ და-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

**ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)**

## განცხადებები

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას.მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

# სათასო ეფექტი — პირველლიგელთა სენსაციები

**ტორპედო – გაგრა 1:1**

**ქუთაისი.** ცენტრალური

1:0 ონიანი (70), 1:1 ჯერემია (73)

**ტორპედო:** მიგინეიშვილი, რიგვავა, გ.გურული, ზ.ჭელიძე, გ.ონიანი, კუხიანიძე (საბანაძე 46), გ.დათუნაიშვილი, ე.გრიგალაშვილი (გიგაური 81), გ.დოლიძე (ფანცულაია 64), ბერიაშვილი, ბ.ტუღუში

**გაგრა:** ბეგაშვილი, ჯანაშია, კალანდაძე, პაჭკორია, ზარნაძე, ფალავანდიშვილი, ტელდი, მაგაჯი (ბ.მუმლაძე 78), ერისთავი (ჯერემია 57), ჭკუასელი (ივანიშვილი 46), ვოლკოვი

„გაგრა“ ტორპედოელთათვის უხერხული მეტოქე შეიქმნა. ჯერ იყო და 2011 წელს ზღვისპირელებმა ფავორიტად მიჩნეულ „ტორპედოს“ თასის ფინალი მოუგეს, ხოლო ამჯერად იგივე ტურნირზე პირველლიგელმა გუნდმა ქუთაისში მეტოქეს მოგება არ დაანება.

მატჩი საკმაოდ დაბალ ტემპში დაიწყო და პირველი მეტნაკლებად სახიფათო მომენტი, მასპინძლებმა მე-17 წუთზე შექმნეს, მაგრამ ტუღუშმა სუსტად დაარტყა. ამის შემდეგ იმავე ტუღუშისა (ორჯერ) და გიორგი დათუნაიშვილის დარტყმული ბურთები კარს ასცდა.

35-ე წუთზე, გრიგალაშვილის მახვილგონივრული პასის შემდეგ, ბერიაშვილი მეკარესთან პირისპირ გადიოდა, თუმცა ბეგაშვილმა კარი დროულად დატოვა, ფორვარდს ბურთთან წამით მიასწრო და სიტუაცია განმუხტა. მალევე ისევ ბერიაშვილმა იაქტიურა. დოლიძის განივ გადაცემას ძლიერი დარტყმა მოაყოლა, მაგრამ სამიზნემ უმტყუნა. ტაიმის მიწურულს კი ბეგაშვილმა უკვე დოლიძეს აჯობა და გუნდები შესვენებაზე უგოლოდ გავიდნენ.

თითქოს მასპინძლებს მეორე ტაიმში უნდა მოემატებინათ, მაგრამ პირიქით მოხდა. შეცვლაზე შესულმა ჯერემიამ გაგრელთა თამაში დაალაგა და გაამწვავა.

ჯერ ტუღუშმა და მაგაჯიმ გაცვალეს სახიფათო მომენტები, შემდეგ საბანაძეს და გრიგალაშვილს უმტყუნათ მიზანმა.

65-ე წუთზე შეცვლაზე შესულებმა ჯერემიამ და ივანიშვილმა შესანიშნავი ორსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, მაგრამ მიგინეიშვილმა მასპინძლები ხიფათს აარიდა.

ანგარიში 70-ე წუთზე გაიხსნა: სტუმრები საკუთარი საჯარიმოს კუთხესთან დაჯარიმდნენ; სტანდარტულის შესრულება გიორგი ონიანმა ითავა და ტორპედოელთა რიგებში თავისი სადებიუტო მატჩი, გატანილი გოლით აღნიშნა – 1:0.

მასპინძელთა სიხარული სულ 3 წუთს გაგრძელდა. ტორპედოელთა მცველების მიუტევებელი შეცდომით ჯერემიამ კარგად ისარგებლა, მიგინეიშვილთან პირისპირ გავიდა და ანგარიში გაათანაბრა – 1:1.

ამის შემდეგ, გაგრელებმა შედარებით უკან დაიხიეს და აქცენტი ანგარიშის შენარჩუნებაზე გადაიტანეს. მასპინძლებმა კი შეტევებს მოუხშირეს, თუმცა, რეალური სახიფათო მომენტის შექმნა ველარ მოახერხეს, პირიქით, სტუმრებს ოდნავ რომ გამართლებოდა, ქუთაისიდან სულაც გამარჯვებით დაბრუნდებოდნენ. მატჩის ბოლოს ივანიშვილმა, საჯარიმოში მყოფ ვოლკოვს ზუსტი პასი გაუკეთა, მან კი ერთი შეხებით, ჯერემიას მიმართულებით გადაამისამართა, რომელიც მიგინეიშვილს პირისპირ აღმოჩნდა, თუმცა ქუთაისელთა მეკარემ დიდებულად ითამაშა და თავისიანები მარცხს გადაარჩინა.

**მატჩის შემდეგ**

***გია გეგუჩაძე, ტორპედოს მთავარი მწვრთნელი:***

– დაძაბულ თამაშს ნამდვილად ველოდი. ჯერ კიდევ თებერვალია და გუნდები მომზადების პროცესში არიან. დაკარგული არაფერია. მომდევნო თამაში თბილისში გვაქვს და იქაც ბრძოლას ველოდებით.

***ზვიად ჯელაძე, გაგრას მთავარი მწვრთნელი:***

– პირველი ტაიმი ნამდვილად ჩავაგდეთ. შემდეგ ნელ-ნელა დავლაგდით და მეორე ნახევარში თამაშიც გავათანაბრეთ. შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმცა ყველაფერი თბილისში გადაწყდება.

**ვიტ ჯორჯია – სპარტაკი 1:1**

**მცხეთა.** მცხეთა პარკი

0:1 მეტრეველი (27), 1:1 ჯანელიძე (48)

29-ე წუთზე თეიმურაზ შონიამ პენალტი ვერ გამოიყენა.

**ვიტ ჯორჯია:** დაუშვილი, ხურცილავა, გეთიაშვილი (გაბრიჭიძე 46), ადამაძე, კასრაძე, მჭედლიშვილი, დავლაშელიძე, გურეშიძე, გ.ჯანელიძე, კორიფაძე (ღიბრაძე 77), კუხალეიშვილი (ლობჯანიძე 86)

**სპარტაკი:** ნადირაძე, ჭაფოძე, მგელაძე, ქურდაძე, ლემონჯავა, თუხარელი (თვალაბაძე 88), კილასონია, შონია (მაქაცარია 90), ბურძენაძე (კაკაშვილი 65), კ.ხიზანეიშვილი, მეტრეველი

გაძევება: ხიზანეიშვილი (85)

ამ მატჩშიც პირველლიგელმა „სპარტაკმა“ არ წააგო და „ვიტ ჯორჯიას“ გვარიანად სანერვიულოდ გაუხადა საქმე. მასპინძლებს საკმაოდ ჰქონდათ პრეტენზიები მსაჯის მიმართ და ამას დაუფარავ აცხადებდნენ ტრიბუნებზე, თუმცა ვერმოგება მათი გუნდის ფეხბურთელების ბრალი უფრო – ვიდრე მსაჯის.

„სპარტაკმა" ანგარიში 27-ე წუთზე გახსნა, როდესაც კონსტანტინე ხიზანეიშვილმა მარცხენა ფლანგიდან ბურთი მეტოქის საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ზვიად მეტრეველი დაუხვდა და თავური დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა.

გატანილი გოლიდან 2 წუთში, სტუმრებს კიდევ შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ თეიმურაზ შონიას მიერ შესრულებული პენალტი დაუშვილმა ფეხით მოიგერია.

34-ე წუთზე, გიორგი ჯანელიძემ საჯარიმო დარტყმა შეასრულა და გიორგი ნადირაძემ ხელით ბურთი ცუდად მოიგერია, მაგრამ თავადვე გამოასწორა შეცდომა და დამატებაზე მისულ ლევან კუხალეიშვილს არ გაატანინა.

პირველი ტაიმის ბოლოს ნადირაძე ისევ შეცდა, როდესაც გურამ გურეშიძე ურტყამდა, მაგრამ ამჯერადაც კუხალეიშვილს დაასწრო, რომელიც წაიქცა და მასპინძლებმა ამ მომენტში პენალტს ითხოვდნენ.

პენალტი „სპარტაკის" კარში მეორე ტაიმის დასაწყისში დაინიშნა – ხიზანეიშვილმა საკუთარ საჯარიმოში დავით ხურცილავა წააქცია და თორნიკე გვანცელაძემ წესის დარღვევა დააფიქსირა. თერთმეტმეტრიანი გოლად ჯანელიძემ აქცია – 1:1.

ამის შემდეგ მომენტები სპარტაკელებს ჰქონდათ. ჯერ შონიამ ვერ შეირგო მეტოქის მცველისა და მეკარის შეუთანხმებელი თამაში, შემდეგ კი ორჯერ ზედიზედ ვარლამ კილასონიამ ვერ გამოიყენა თავისი შანსი.

70-ე წუთზე, გურამ ადამაძის სახიფათო თავურის შემდეგ, ნადირაძემ სტუმრები გაშვებული გოლისგან იხსნა. 85-ე წუთზე კი, ირაკლი ღიბრაძის გადაცემის მერე, ჯანელიძემ ახლო მანძილიდან დაარტყა და ბურთს ლევან ჭაფოძე გადაეღობა, თორემ შესაძლოა ანგარიში შეცვლილიყო.



**გურია – ზესტაფონი 0:1**

**ზესტაფონი.** დავით აბაშიძე

0:1 ბოტი დემელი (31)

**გურია:** ძაძამია, მაისაშვილი, თოდუა, ჩუენსე, ვართაგავა, გოგობერიშვილი, ჯანგიძე, სალარიძე (ჩალაძე 81), კუკულაძე (შალამბერიძე 75), კვერენჩხილაძე, კაკალაძე

**ზესტაფონი:** კვასხვაძე, თორნიკე გრიგალაშვილი, ლოსანო, კაჭკაჭიშვილი, ღონღაძე, იელიჩი, ბაბუნაშვილი (ჭანტურიშვილი 85), კუტალია, რაჟამაშვილი (სამუშია 62), რეკრუკი (გორგიაშვილი 69), დემელი

მატჩი ლანჩხუთში უნდა გამართულიყო, მაგრამ ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სტადიონზე მიმდინარე სამუშაოების გამო, ლანჩხუთელები და ზესტაფონელები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ამ მერვედფინალური წყვილის ორივე დაპირისპირება „დავით აბაშიძე" უმასპინძლებდა.

დასაწყისი ზესტაფონელების იყო, მაგრამ გარკვეულ მომენტამდე ამ იერიშებს სიმწვავე აკლდა. გოლის გატანა „ზესტაფონმა" მატჩის 31-ე წუთზე მოახერხა. გურულების მეკარე გიორგი ძაძამიამ გამოსვლაზე თამაშისას შეცდომა დაუშვა, იმერელთა კოტდივუარელი ფორვარდი ბოტი გოა დემელი დასარტყმელ პოზიციაზე დარჩა და „გურიას" კარის ბადე აუღელვებლად შეარხია.

მალევე გოლის გატანა დავით რაჟამაშვილსაც მართებდა, თუმცა მისი დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოდგა. შემდეგ ჯერ სახიფათო პოზიციაზე გასულმა მოჰამედ რეკრუკმა დააგვიანა დარტყმა, მერე კი გიორგი ძაძამიამ შოთა ბაბუნაშვილის მიერ შორიდან დარტყმულთან გამკლავება მოახერხა. გოლის გატანის ერთი შესაძლებლობა ნომინალურ მასპინძლებსაც მიეცათ – ლანჩხუთელებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს და რომ არა კარიდან დროულად გამოსული როინ კვასხვაძის ბრწყინვალე რეაქცია, გურულები ანგარიშის გათანაბრებას მოახერხებდნენ...

მეორე ტაიმში დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე შეკრებილმა პუბლიკამ გახსნილი ფეხბურთი და ორივე გუნდის კართან შექმნილი მომენტების სიმრავლე იხილა. ჯერ დავით რაჟამაშვილს მართებდა გატანა, შემდეგ ლანჩხუთელმა მიხეილ კაკალაძემ ბურთი როინ კვასხვაძის კარის ძელს გაარტყა. ამას უკვე ზესტაფონელთა აქტიურობის მონაკვეთი მოჰყვა და კარის ძელი მშველელად უკვე ლანჩხუთელებს მოევლინათ. ამის შემდეგ გოლის გატანის ძალიან კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა ლევან კუტალიამ, მატჩის მიწურულს კი „გურიას" კარის ხარიხა იგორ იელიჩის უძლიერესმა დარტყმამ შეაზანზარა...

**კოლხეთი – დინამო (თბ) 0:1**

**ფოთი.** ფაზისი

0:1 ჩისკო (85)

**კოლხეთი:** ბუბუტეიშვილი, კილასონია, ფარულავა, გოგონაია, კრასოვსკი, კვანტალიანი (ბუხაიძე 85), ჩადუნელი, ჯანაშია, ლორია, ქორჩილავა (მოისწრაფიშვილი 76), ხოშტარია (წაბრია 64)

**დინამო:** ლორია, შაშიაშვილი, კვარაცხელია, მილხრაუმი, სეთურიძე, ძარია, გრაიციარი, ალვარო (კოტო 75), მერებაშვილი (პაპავა 72), დვალი (ხოჭოლავა 88), ჩისკო

„დინამოს“ გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდა. გუნდი ზამთრის შესვენებისას საკმაოდ შეივსო ლეგიონერებით, რომლებსაც ამ მატჩშიც მოუწიათ თამაშმა, მაგრამ მხოლოდ ჩისკოს გვიანი გოლით იმარჯვა.

**ჩიხურა – შუქურა 8:0**

**საჩხერე.** ივანწმინდის სტადიონი

1:0, 2:0, 3:0 დეკანოიძე (12, 18, 29), 4:0, 5:0 კვასხვაძე (38, 40), 6:0 დეკანოიძე (61), 7:0 კირკიტაძე (62), 8:0 ზაბახიძე (76)

**ჩიხურა:** სომხიშვილი, ოდიკაძე, ლ.ჭელიძე, საჯაია, კაშია, დილმელაშვილი, ლომაშვილი (ზაბახიძე 46), კირკიტაძე, დ.ბოლქვაძე, ნ.კვასხვაძე (გ.ჩხეტიანი 46), დეკანოიძე (ჩიკვაიძე 68)

**შუქურა:** კაკალაძე, ლ.მახარაძე, ბრაჭული, ფუტკარაძე, ა.გოგიტიძე (ნ.გოგიტიძე 37), ტაკიძე, ჩხიკვიშვილი, პ. ბალაძე, ხუჭუა, ჩელებაძე (დევაძე 46), ზ.ტუღუში

**გაძევება:** ჩხიკვიშვილი (71)

„ჩიხურამ“ ნახევარ საათში გადაწყვიტა წყვილის გამარჯვებული ვინაობა – დეკანოიძემ 17-წუთიან ინტერვალში ჰეთტრიკი გაიფორმა. მანვე მეოთხე გოლი მეორე ტაიმში მიაყოლა, რასაც ნიკა კვასხვაძის დუბლი და კირკიტაძისა და ზაბახიძის თითო გოლიც დაემატა.

**სიონი – ზუგდიდი 3:0**

**თბილისი.** მიხეილ მესხი

1:0, 2:0 ლექვთაძე (12, 36), 3:0 ახალაია (44)

**სიონი:** ბობღიაშვილი, ფოფხაძე, ორბელაძე, სვანიძე, ელიავა, უგრეხელიძე, ჰაიდუშეკი (მანწკავა 73), ცხადაია, ლექვთაძე (ბიბილეიშვილი 77), მიკუჩაძე (ჯოჯუა 60), ახალაია

**ზუგდიდი:** ძაგანია, აფაქიძე (კანკია 46), გამეზარდაშვილი, აკობია, როინ ონიანი, სიხარულია, გუგუჩია, შოთა ლომია (შონია 46), წურწუმია, გაბედავა, ეხვაია (ფარჯიკია 46)

საკმაოდ იოლად იმარჯვა „სიონმაც“ მასპინძლებმა მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს. „დინამოდან“ იჯარით აყვანილმა ირაკლი ლექვთაძემ დუბლი შეასრულა, ხოლო ერთი გოლი ახალაიას ანგარიშზეა.

**დინამო (ბთ) – მეტალურგი 2:1**

**ქობულეთი.** ჩელე არენა

1:0 ჩიმაკაძე (45), 2:0 მუჯირი (47), 2:1 გავაშელიშვილი (48)

**დინამო (ბთ):** პიცანი, ფარტენაძე, ტყეშელაშვილი, ჟვანია, გაბუნია, ლობჟანიძე, გურული (კიკნაველიძე 80), მუჯირი, კოშკაძე (მახარაძე 80), მაკარიანი (გოგიტიძე 90), ჩიმაკაძე

**მეტალურგი:** ბათიაშვილი, ჯაფარიძე, გავაშელიშვილი, ინწკირველი, სუხიაშვილი, ხაბელაშვილი, გეწაძე, რაზმაძე, ქავთარაძე, ახალკაცი, სიხარულიძე

კენჭისყრის დროს ამ წყვილის ფავორიტად რუსთაველები მიიჩნეოდნენ, თუმცა ზღვისპირელებმა კარგი შევსება მიიღეს და მეტოქეს ბრძოლა გამოუცხადეს. რომ არა ქვემოქართლელთა კურიოზული გოლი, მასპინძლები საპასუხო მატჩზე უფრო მშვიდად გაემგზავრებოდნენ.

ბათუმელთაგან გოლები ბესიკ ჩიმაკაძემ და უბერებელმა ამირან მუჯირმა გაიტანეს, ხოლო საპასუხო გოლი გავაშელიშვილის ანგარიშზეა.

## თურქეთის უარი ევროპას

თურქეთი უარს აცხადებს, 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის რამდენიმე თამაშს უმასპინძლოს. მანამდე, სანამ უეფა ევრო 2020–ის ერთაბაშად 13 ქვეყანაში გამართვის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებდა, თურქები აქტიურად აცხადებდნენ პრეტენზიას ევროპული ფეხბურთის ფორუმის მასპინძლობაზე. თუმცა დღეს სტამბული ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის ბრძოლას აპირებს.

როგორც მიშელ პლატინი აცხადებდა, მას სურვილი ჰქონდა თურქეთს ნახევარფინალური და ფინალური დაპირისპირებისთვის ემასპინძლა, თუმცა ამის სურვილი ჩვენ მეზობლებს არ აქვთ.

– გადაწყვეტილია, რომ ჩვენ 2020 წლის ზაფხულში ოლიმპიური თამაშების ჩასატარებლად ვიბრძოლებთ, – განაცხადა პროექტის კოორდინატორმა ჰასან არატმა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტი ერთი წლის განმავლობაში, ორი დიდი ღონისძიების ერთ ქვეყანაში მასპინძლობას კრძალავს.

## კირსან ილუმჟინოვმა საქართველოში ვიზიტი დაასრულა

მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი საქმიანი ვიზიტით თბილისში იმყოფებოდა.

თავდაპირველად ილუმჟინოვი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ეწვია და მინისტრს, ლევან ყიფიანსა და მის პირველ მოადგილეს ზურაბ აზმაიფარაშვილთან ერთად მედიისათვის ბრიფინგი გამართა.

ბრიფინგის ძირითადი თემა 2015 წელს თბილისში დაგეგმილი 16 წლამდელ მოჭადრაკეთა ოლიმპიადა გახლდათ. აღსანიშნავია, რომ ამ ასაკობრივი კატეგორიის საჭადრაკო ოლიმპიადა საქართველოში პირველად ჩატარდება.

პრესკონფერენციას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე და ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე ესწრებოდნენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტს უმასპინძლა. ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა კირსან ილუმჟინოვთან ბიზნესცენტრში გაიმართა. შეხვედრას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და მინისტრის პირველ მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილი დაესწრნენ.

მხარეებმა საქართველოში ჭადრაკის განვითარების პერსპექტივებზე იმსჯელეს. შეხვედრის დასასრულს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მსოფლიო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტთან ჭადრაკი ითამაშა.

– ჩვენი სურვილია, რომ თბილისმა ჭადრაკის დედაქალაქის ფუნქცია შეიძინოს. ქართულ ჭადრაკს ძალიან დიდი ტრადიცია გააჩნია და ეს ტრადიცია აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, – განაცხადა კირსან ილუმჟინოვმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

მოამზადა

მიხეილ ყორყოლიანმა

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნლი-ჰადერსფილდი ................. 0:1

ლესტერი-ბლექბერნი .................... 3:0

ბოლტონი-პიტერბრო .................... 1:0

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ბარსელონა-რეალი ........................ 1:2

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-ფიორენტინა .................. 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 65 | 18 | 4 | 4 | 53:17 | 58 |
| 2.ნაპოლი | 26 | 15 | 7 | 4 | 46:21 | 52 |
| 3.ლაციო | 26 | 15 | 5 | 7 | 37:29 | 47 |
| 4.მილანი | 26 | 13 | 6 | 7 | 45:32 | 45 |
| 5.ინტერი | 26 | 13 | 5 | 8 | 41:34 | 44 |
| 6.ფიორენტინა | 26 | 12 | 6 | 8 | 46:32 | 42 |
| 7.კატანია | 26 | 12 | 6 | 8 | 34:31 | 42 |
| 8.რომა | 26 | 12 | 4 | 10 | 54:47 | 40 |
| 9.უდინეზე | 26 | 9 | 10 | 7 | 35:34 | 37 |
| 10.სამპდორია | 26 | 9 | 6 | 11 | 33:30 | 32 |
| 11.პარმა | 26 | 8 | 8 | 10 | 32:35 | 32 |
| 12.ტორინო | 26 | 7 | 11 | 8 | 32:32 | 31 |
| 13.კალიარი | 26 | 8 | 7 | 11 | 32:44 | 31 |
| 14.ბოლონია | 26 | 8 | 5 | 13 | 35:36 | 29 |
| 15.კიევო | 26 | 8 | 5 | 13 | 26:42 | 29 |
| 16.ატალანტა | 26 | 8 | 5 | 13 | 24:38 | 27 |
| 17.ჯენოა | 26 | 6 | 8 | 12 | 26:37 | 26 |
| 18.სიენა | 26 | 7 | 6 | 13 | 27:37 | 21 |
| 19.პესკარა | 26 | 6 | 3 | 17 | 20:53 | 21 |
| 20.პალერმო | 26 | 3 | 11 | 12 | 22:39 | 19 |

**შენიშვნა:**

*სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა*

*ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა*

*ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა*

*სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა*

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-სასუოლო ......................... 2:4

ბრეშა-ემპოლი ............................. 0:3

გროსეტო-ვიჩენცა ......................... 1:2

ლივორნო-კროტონე ...................... 1:2

მოდენა-ლანჩანო .......................... 2:2

პადოვა-იუვე სტაბია ..................... 1:0

პრო ვერჩელი-ჩიტადელა ............. 0:0

რეჯინა-სპეცია .............................. 1:1

ტერნანა-ნოვარა ........................... 1:1

**გერმანია. თასი**

მაინცი-ფრაიბურგი ................ 2:3(დდ)

ოფენბახი-ვოლფსბურგი ................ 1:2

**საფრანგეთი. თასი**

სოშო-ტრუა ................................... 1:2

ევიანი-ლე ავრი ............................ 3:1

სენ ეტიენი-ლილი ......................... 3:2

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

სედანი-ოსერი ............................... 1:0

**პოლონეთი. თასი**

ლეგია-ოლიმპია ............................ 4:1

*ლეგიას მეოთხე გოლი ვლადიმერ დვალიშვილმა გაიტანა*

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ინდიანა-გოლდენ სტეიტი ....... 108:97

ფილადელფია-ორლანდო ......... 84:98

მაიამი-საკრამენტო ........ 141:129(2ო)

ნიუ ორლეანი-ბრუკლინი ........ 97:101

ჩიკაგო-კლივლენდი ............... 98:101

დალასი-მილუოკი ..................... 90:95

ფინიქსი-მინესოტა ............. 84:83(ოტ)

კლიპერსი-შარლოტი .............. 106:84

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-კაროლინა ............... 3:0

კოლამბუსი-დალასი .............. 4:5(ოტ)

რეინჯერსი0ვინიპეგი ................... 3:4

აილენდერსი-ბოსტონი ................ 1:4

ტამპა ბეი-ბუფალო ...................... 1:2

ფლორიდა-პიტსბურგი ................. 6:4

მინესოტა-კალგარი .............. 2:2(ოტ)

ვანკუვერი-ფინიქსი ..................... 2:4

სან ხოსე-კოლორადო ......... 2:2(1:0ბ)

# გურამ ოდიშარია სამეგრელოს სტუმრობდა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ათვალიერა ნიკო ნიკოლაძის კოშკი – ფაზისის აკადემია, სადაც შეხვდა ფოთის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის თანამშრომლებს და არსებულ პრობლემებზე ესაუბრა. მინისტრმა, ასევე მოინახულა ახლად აშენებული ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი და მშენებარე თეატრი. კულტურის სამინისტროს დელეგაცია ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრსა და ფოლკლორის ცენტრში შეხვდა თანამშრომლებს და მათთან სამომავლო გეგმებსა და ურთიერთთანამშრომლობაზე ისაუბრა. დელეგაცია ასევე ეწვია აკაკი ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებელს, სადაც მოსწავლეებმა საჩვენებელი კონცერტი გამართეს. მინისტრმა მოინახულა კოლხური კულტურის მუზეუმი, ფოთის საგამოფენო დარბაზი და სახელოვნებო სამხატვრო სასწავლებელი. ვიზიტის ბოლოს გურამ ოდიშარია დელეგაციასთან ერთად ეწვია შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკას, სადაც შეხვდა თანამშრომლებს და ბიბლიოთეკაში არსებულ პრობლემებსა და მიმდინარე საკითხებზე ესაუბრა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ სამეგრელოდან აჭარაში გადაინაცვლა, სადაც ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრში რეჟისორ ზაზა სიხარულიძის მიერ დადგმულ თეატრალიზებულ კონცერტს „იესო ქრისტე სუპერვარსკვლავი“ დაესწრო. სპექტაკლის დამდგმელი მხატვარია ვახტანგ ბესელია, კოსტიუმების მხატვარი კი ანა კალატოზიშვილია. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დელეგაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გიორგი თავამაიშვილმა უმასპინძლა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა ცაგერის ისტორიული მუზეუმისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის 2012 წლის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოს ანგარიშის პრეზენტაცია, სადაც ცნობილი გახდა, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ცაგერის ისტორიულ მუზეუმში ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაიხსნა განახლებული გამოფენა (გეოლოგია-პალეონტოლოგიის, ქვის ხანის, ბრინჯაო-რკინის ხანის, ანტიკური, შუასაუკუნეების, საეკლესიო ნივთების, ეთნოგრაფიული, დიმიტრი ერმაკოვის ფოტო-კოლექცია, ასევე გაიხსნა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, ჩატარდა ცაგერის ისტორიული მუზეუმის ალბომის პრეზენტაცია. პრეზენტაცია წარმოადგინეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ნინო სულავამ და გამოფენის არქიტექტორმა დიზაინერმა ნინო ოქრუაშვილმა.



პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, ცაგერის ისტორიული მუზეუმის დირექტორი ნუგზარ კოპალიანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიკოს-არქეოლოგები.

–ამ პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იქნა პროექტის „ცაგერის ისტორიული მუზეუმი“ ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების ამსახველი საილუსტრაციო მასალა: მოწესრიგებული ფონდები – მასალის ინვენტარიზაცია, მასალის განსაზღვრა პერიოდების მიხედვით და დალაგება; სამუზეუმო საქმიანობის ელექტრონულ ვერსიაზე გადაყვანა – სამუზეუმო დავთრები გადაყვანილი ელექტრონულ ვერსიაში, დავთრების ფოტო-ვერსიები, არტეფაქტებზე საინვენტარო და საგამოფენო ბარათის ელექტრონული ვერსიები; ექსპონატების სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები – ჩატარებულ სამუშაოზე ბარათების ელექტრონული ვერსიები, დაცულობის აქტები და რესტავრაციის ბარათები; კოლექციების გამიჯვნა – გეოლოგია-პალეონტოლოგიის, ქვის ხანის, ბრინჯაო-რკინის ხანის, ანტიკური, შუასაუკუნეების, საეკლესიო ნივთების, ეთნოგრაფიული, დიმიტრი ერმაკოვის ფოტო-კოლექცია; კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა; კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრისათვის სათანადო სივრცის მოწყობა და სამეცნიერო ბიბლიოთეკით აღჭურვა – საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ცაგერის ისტორიულ მუზეუმში დაცული წიგნებით შეიქმნა ბიბლიოთეკა, სადაც არის ყველა ის ნაშრომი თუ პერიოდული გამოცემა, რომელიც საჭიროა ისტორიითა და არქეოლოგიით დაინტერესებული მოსწავლეებისა და მკითხველისათვის; ახალ ექსპოზიციაზე მუშაობის პროცესი და შედეგი; ცაგერის ისტორიული მუზეუმის ალბომი, რაც ვფიქრობთ, რომ საკმაოდ შედეგიანია, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელმა დავით ლორთქიფანიძემ.

გურამ ოდიშარია სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის საპატრიარქო რეზიდენციაში უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ მიიღო. მინისტრთან ერთად მიღებაზე იმყოფებოდნენ მისი მოადგილეები მანანა ბერიკაშვილი, ალექსანდრე მარგიშვილი და მრჩევლები ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი და გიორგი გეგეჭკორი. მიღებაზე პატრიარქმა და კულტურის სამინისტროს დელეგაციამ ემიგრაციაში მყოფი ქართველების დაბრუნების საკითხზე, ქართული ხელოვნების განვითარების ხელშეწყობაზე, კულტურის სახლების ამოქმედებასა და მის მნიშვნელოვნებაზე ისაუბრეს. დიალოგი შეეხო კულტურის სამინისტროსა და საპატრიარქოს შორის გრძელვადიანი თანამშრომლობის პერსპექტივას, შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება სამომავლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებში კულტუროლოგიის სწავლების აუცილებლობის შესახებ.

კულტურის მინისტრი აზერბაიჯანის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში აზერ ტოფიგ ოღლუ გუსეინსაც შეხვდა. გამართული ოფიციალური შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა. მხარეებმა მომავალი ურთიერთობებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ისაუბრეს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას ბრძანების საფუძველზე შეიქმნა მინისტრთან არსებული მრავალდარგობრივი საბჭო, რომლის წევრებიც არიან რეჟისორი თემურ ჩხეიძე, მუსიკისმცოდნე მანანა ახმეტელი, ფოლკლორისტი ანზორ ერქომაიშვილი, ფილოლოგი რისმაგ გორდეზიანი, იურისტი მინდია უგრეხელიძე, არქიტექტორი გიგა ბათიაშვილი, კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი, იკომოსის წარმომადგენელი ნატო ცინცაბაძე, პოეტი რატი ამაღლობელი, მხატვარი თამაზ ხუციშვილი, თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების სამხრეთკავკასიური ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი ხათუნა მზარელუა. სამინისტროში უკვე შედგა მინისტრთან არსებული მრავალდარგობრივი საბჭოს პირველი სხდომა, სადაც მოხდა შეთანხმება, რომ საბჭოს წევრები საკუთარ შეხედულებებსა და რეკომენდაციებს წარმოადგენენ ქვეყნის კულტურული პროცესების განვითარებისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2013 წლის ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრის თაობაზე.

გურამ ოდიშარიამ ასევე შექმნა საკონსულტაციო საბჭო წიგნისა და ლიტერატურის დარგში. მისი წევრები არიან მწერალი ზურაბ ქარუმიძე, პენ-ცენტრის წევრი ნინო ჟვანია, პოეტი დიანა ანფიმიადი, წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის თავმჯდომარე თინა მამულაშვილი, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი ლაშა ბაქრაძე, გამომცემელი ზვიად კვარაცხელია, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი, პოეტი შალვა ბაკურაძე, ლიტერატორი, მწერალი შოთა დიღმელაშვილი (გაგარინი), მწერალი კოტე ჯანდიერი და მთარგმნელი, პოეტი, პროფესორი გიორგი ლობჟანიძე. როგორც მინისტრმა აღნიშნა, წიგნისა და ლიტერატურის დარგში მინისტრის საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობა გარკვეული პერიოდულობით შეიცვლება. საკონსულტაციო საბჭომ უკვე გამართა რიგით მეორე სხდომა, სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები: შემოსული პროექტები, პერიოდიკის გამოცემის საკონკურსო პირობები, პროგრამის პრიორიტეტები, პარიზისა და ლონდონის საერთაშორისო წიგნის ფესტივალებში საქართველოს მონაწილეობის საკითხი.

კულტურის სამინისტროს ცნობით, საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საელჩოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, იტალიის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადდა კონკურსი საუკეთესო თარგმანისათვის. პრემიის „პრემი ნაციონალი“ მოსაპოვებლად განაცხადების წარდგენა შეუძლიათ როგორც იტალიელ და უცხოელ მთარგმნელებს, ასევე გამომცემლებს. განაცხადების წარდგენის ვადა 28 თებერვალს იწურება.

კულტურის სამინისტრომ გაახმოვანა, რომ დმანისში ჰომინიდების აღმოჩენა ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოების მიერ 125 წლის მანძილზე მხარდაჭერილ 125 ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას შორის 99-ე ადგილზეა.

# რამაზ ჩხიკვაძე 85 წლის გახდებოდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

– ეროვნული არქივის კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ არქივში რამაზ ჩხიკვაძის რამდენიმე ასეული ფოტო ინახება. მათი ერთი ნაწილი მხატვრული ფილმების გადასაღებ მოედანს ასახავს. გარდა ამისა, არქივი ინახავს თეატრალური სპექტაკლების, რეპეტიციების, სხვადასხვა ღონისძიების ფოტოებს. გამოფენაზე დაცული ფოტოების ნაწილი დაცულია „საქინფორმის“ კოლექციაში. ქართული და თეატრისა და კინოს მსახიობი რამაზ ჩხიკვაძე დაიბადა 1928 წლის 28 თებერვალს თბილისში, მუსიკოს გრიგოლ ჩხიკვაძის ოჯახში. თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის დამთავრებისთანავე რუსთაველის დრამატული თეატრის მსახიობი გახდა და სიცოცხლის ბოლომდე ამ თეატრის ერთგული დარჩა. რუსთაველის თეატრის სცენაზე მან განასახიერა მრავალი საინტერესო და დაუვიწყარი როლი, მათ შორის, ლეანდრო სპექტაკლიდან ,,ესპანელი მღვდელი“, აზდაკი – ,,კავკასიური ცარცის წრე“, რიჩარდი – ,,რიჩარდ III“, ლირი – ,,მეფე ლირი“, პეტრი პეტრუსი – ,,როცა ასეთი სიყვარულია“, ქოსა მრჩეველი – ,,ჭინჭრაქა“, მეკი დანა – ,,სამგროშიანი ოპერა“, კასიანე – ,,მზიანი ღამე“), თედო – ,,ბებერი მეზურნეები“, აკოფ დარდიმანდიანცი – ,,ხანუმა“, კირილე მიმინოშვილი – ,,სამანიშვილის დედინაცვალი“, შოშია – ,,საბრალდებო დასკვნა“, ყვარყვარე – ,,ყვარყვარე“ და სხვა დაუვიწყარი როლები. ყველასთვის ცნობილია, რომ რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედება ასეთივე წარმატებული იყო კინოშიც. იგი 70-ზე მეტ მხატვრულ ფილმშია გადაღებული: „ჭრიჭინა“, „წარსული ზაფხული“, „ლონდრე“, „თეთრი ბაირაღები“, „ქალაქი ანარა“, „ნერგები“, „სოფლის აშიკი“, „ნატვრის ხე“, „თხუნელა“ და სხვა ქართული ფილმები. ფოტოებთან ერთად, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება კინოკადრებიც – ნაწყვეტები სპექტაკლებიდან რამაზ ჩხიკვაძის მონაწილეობით, – განაცხადა თეა ქიმერიძემ.

ეროვნულ არქივში რამაზ ჩხიკვაძის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილ გამოფენაზე დასწრება თავისუფალია.

რამაზ ჩხიკვაძის იუბილეს აღნიშნავს საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმიც. ხელოვნების სასახლეში 28 თებერვალს რამაზ ჩხიკვაძის ბიუსტი გაიხსნება. საქართველოს სახალხო არტისტის ბიუსტი, რომელიც მოქანდაკე გურამ პიპინაშვილის მიერ არის შესრულებული, საზეიმო ვითარებაში გაიხსნება.

რამაზ ჩხიკვაძე 2011 წლის 17 ოქტომბერს 83 წლის ასაკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. იგი ქართულმა საზოგადოებამ უკანასკნელ გზაზე მშობლიური რუსთაველის თეატრიდან ტაშით გააცილა, თუმცა 2006 წელს მსახიობის დაბადების დღეზე 75 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ამავე თეატრის წინ მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა. ამ დღეს მსახიობმა უკანასკნელად ითამაშა თავისი აზდაკი გენიალურ სპექტაკლში „კავკასიური ცარცის წრე“. მსახიობი დიდუბის მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში მეუღლის ნატაშა ჩხიკვაძის გვერდით დაკრძალეს. ქუჩას, რომელზეც მსახიობი ცხოვრობდა, რამაზ ჩხიკვაძის სახელი დაერქვა, გასულ წელს კი მსახიობის დაბადების დღეზე რუსთაველის თეატრში ჩატარებულ საღამოზე ცნობილი გახდა, რომ დაარსდა რამაზ ჩხიკვაძის სახელობის საქველმოქმედო ფონდი, ხოლო მოქანდაკე ზურაბ წერეთელმა არმაზ ჩხიკვაძის ერთ-ერთი ყველაზე აგმორჩეული პერსონაჟის აზდაკის ძეგლზე მუშაობა დაიწყო და მისი დადგმა თბილისში, ჭონქაძის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ პატარა სკვერში გადაწყდა.

# ლავროვმა კერისთან პირველ შეხვედრას კონსტრუქციული უწოდა



ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, ჯონ კერიმ ბერლინში თავის რუს კოლეგასთან პირველი შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე, რომელიც დაახლოებით ორი საათის განმავლობაში გრძელდებოდა, სირიის კონფლიქტი და რიგი სხვა საკითხები, მათ შორის, რუსეთიდან ბავშვების გაშვილების თემა განიხილეს.

ორი დღის შემდეგ, ათზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი რომში სირიის ოპოზიციასთან მოლაპარაკებებისათვის შეიკრიბება. რუსეთი ამ შეხვედრაზე წარმოდგენილი არ იქნება. როგორც სერგეი ლავროვმა განაცხადა, ოპოზიციის რიგებში მყოფი ექ-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქართველი მევიოლინე ქალი; 2. მონასტერი ადიგენის რაიონში; 3. სამთო-კლიმატური კურორტი საქართველოში; 4. გეომეტრიული ფიგურა; 5. ჩვილი ბავშვის საფენი; 7. მდინარე თბილისში; 11. ღრმა ძილის მდგომარეობა; 13. ობობას ძველი ქართული სახელწოდება; 15. ქართული ბანკი; 16. ქართული მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით; 18. დადუღებული ყურძნის წვენი; 19. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

**თარაზულად:** 6. მეტროს სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 8. ოქროს ჩამოსასხმელი ყალიბი; 9. მუსლიმანთა ერთ-ერთი მთავარი დღესასწაული; 10. რჩევა, დარიგება, მითითება, რომელსაც შთამომავლობას უტოვებენ; 12. მორიგეობა გემზე; 14. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 17. ქართული მინერალური წყალი; 20. ჰაერში დაგროვილი წყლის შესქელებული ორთქლი; 21. ქართული ლუდი; 22. რძის პროდუქტი; 23. კომუნიკაციის მასობრივ საშუალებათა ერთობლიობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. შურთხი; 2. იმიჯი; 3. „რიცი“; 5. ფიშერი; 6. ურანი; 7. სიმონია; 11. „რუზინე“; 13. ყვარელი; 14. აჟანი; 15. კუპდარი; 16. ეპილოგი; 17. ბესიკი; 19. ეთიკა; 20. მუდო.

**თარაზულად**: 1. შეიკერი; 4. პიაფი; 8. ცვილი; 9. შობა; 10. თეჯირი; 12. გომბორი; 14. აზია; 15. „კავკასია“; 16. ერაძე; 18. ბოდბე; 21. სოფია; 22. გრადუსი; 23. კოკაინი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მსგეფსი; 2. იამოტო; 3. ჩატურანგა; 4. ფელბსი; 5. რელიქვია; 7. არვე; 11. დუბლინი; 13. „სიმენსი“; 15. ღალღა; 16. ტემზა; 18. ვისკი; 19. ბრასი.

**თარაზულად**: 6. „სეზარი“; 8. ვახშამი; 9. გოლეული; 10. ფაზენდა; 12. გოთუა; 14. ლიძავა; 17. გემოვნება; 20. შეიკერი; 21. აღლუმი; 22. კრისტი; 23. ჯარგვალი.

# ირანის საპრეზიდენტო არჩევნებში ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი მიიღებს მონაწილეობას

„როიტერის“ ცნობით, ირანის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩარ მოთაქიმ განაცხადა, რომ ივნისის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას გეგმავს.



შეგახსენებთ, რომ წინა 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც მაჰმუდ აჰმადინეჯადი მეორედ აირჩიეს პრეზიდენტად, ქვეყანაში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დაიწყო.

მოთაქი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი 2005 წლიდან 2010 წლამდე იყო. 2010 წლის დეკემბერში იგი პრეზიდენტმა გაათავისუფლა. მოთაქი პარლამენტის სპიკერის ალი ლარიჯანის მოკავშირედ მოიაზრება, რომელიც 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში აჰმადინეჯადმა დაამარცხა და ფაქტობრივად მას შემდეგ მათ შორის დაპირისპირება გრძელდება.

ირანის პრეზიდენტი, ისლამური რესპუბლიკის მთავრობის მეთაური, აირჩევა პირდაპირი საყოველთაო არჩევნების გზით 4 წლის ვადით. იგი ქმნის მინისტრთა კაბინეტს და ხელმძღვანელობს მის მუშაობას. აღსანიშნავია, რომ ირანის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება იმყოფება ქვეყნის პოლიტიკური და სულიერი ლიდერის (ამჟამად აიათოლა ხამენეი) კონტროლის ქვეშ. პრეზიდენტის თანამდებობა შემოღებულ იქნა შაჰის რეჟიმის დამხობის შემდეგ. თავდაპირველად მას სიმბოლური ფუნქცია ჰქონდა, მაგრამ კონსტიტუციური ცვლილების შემდეგ გაუქმდა პრემიერ-მინისტრის პოსტი და მისი ბევრი ფუნქცია პრეზიდენტს დაეკისრა. ამჟამად ირანის პრეზიდენტი გავლენიან პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენს.

# ღაზას სექტორიდან ისრაელი დაიბომბა

ღაზას სექტორში მოქმედმა ბოევიკებმა ისრაელის სამხრეთის მიმართულებით ბოლო სამი თვის განმავლობაში პირველი სარაკეტო დარტყმა განახორციელეს. ინფორმაციას ისრაელის არმიისა და პოლიციის წარმომადგენლები ავრცელებენ.

რაკეტა აშკელონთან ჩამოვარდა.

„აფეთქება აშკელონთან მოხდა. რაკეტა ნაპოვნია და მან გზის საფარი დააზიანა. დაზარალებულები არ არიან. ეს პირველი შემთხვევაა მას შემდეგ, რაც ღაზას სექტორში სამხედრო ოპერაცია დასრულდა“, – განაცხადა პოლიციის პრესმდივანმა მიკი როზენფელდმა.

გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელის ტერიტორიის დაბომბვაზე პასუხისმგებლობა არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია. უნდა აღინიშნოს, რომ მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე ისრაელის საწინააღმდეგო აქციები იმართება, რისი მიზეზი ისრაელის ციხეში ერთ-ერთი პალესტინელის დაღუპვა გახდა. პალესტინელები აცხადებენ, რომ იგი წამებით მოკლეს. ისრაელის ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს ამ ბრალდებას.

ღაზას სექტორი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ დე იურე ცნობილი არ არის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს ტერიტორია ამჟამად ისრაელის ოკუპაციის ქვეშაა. აშშ-ის მთავრობის კლასიფიკაციით, ღაზას სექტორი არის „ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორია, რომლის სტატუსი დამოკიდებულია ისრაელ-პალესტინის ორმხრივ შეთანხმებაზე“. ისრაელის მთავრობა ამგვარი კლასიფიკაციის წინააღმდეგია, განსაკუთრებით – 2005 წელს ისრაელის ცალმხრივი გამოსვლის გადაწყვეტილების შემდეგ.

ისრაელი აკონტროლებს ღაზას სექტორის საჰაერო სივრცესა და ოფშორულ სანაოსნო მოსასვლელებს. თავად სექტორი პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის იურისდიქციის ქვეშაა, რომელიც ასევე აკონტროლებს სექტორის საზღვარს ეგვიპტესთან.

# სამგლოვიარო განცხადებები

## თამაზ კანდელაკის გახსენება



ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ არის ჩვენი კოლეგა, მეგობარი, ხელმძღვანელი, გამოჩენილი ქართველი მეღვინე, მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ქალაქ ნიუ ორლეანის (ამერიკა) საპატიო მოქალაქე, საერთაშორისო მეღვინე-დეგუსტატორი, მრავალი წიგნისა და ქართული მარკის ღვინოების ავტორი, ბატონი თამაზ კანდელაკი.

წლების განმავლობაში ჩვენი შეხვედრები იყო ვენახში, ქარხანაში, სადეგუსტაციო დარბაზში, სადაც ბატონ თამაზთან ერთად მრავალი სასიკეთო საქმე გაკეთებულა. დღეს კი ჩვენი შეხვედრა ბატონ თამაზთან საფლავთან მისვლით შემოიფარგლება, სადაც დავდებთ ყვავილს, დავანთებთ სანთელს და შემდეგ გულდაწყვეტილები მივდივართ სუფრასთან და შესანდობარს ვამბობთ.

რომ იცოდეთ, როგორ გვაკლიხართ, ბატონო თამაზ!

*ვეტერანი ქართველი მეღვინეები*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# აშშ-ის სენატმა თავდაცვის მდივნის პოსტზე ჩაკ ჰეგელი დაამტკიცა

აშშ-ის სენატმა ქვეყნის თავდაცვის მდივნის პოსტზე ჩაკ ჰეგელის კანდიდატურა დაამტკიცა. ამის შესახებ „ეურონიუსი“ იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, ჰეგელის კანდიდატურას მხარი 58-მა წევრმა დაუჭირა, წინააღმდეგ იყო 41. აქამდე ობამას მიერ ადმინისტრაციაში წარდგენილი არც ერთი კანდიდატურის დამტკიცებას არ მოჰყოლია იმდენი ორჭოფობა, რამდენიც ეს ჰეგელის შემთხვევაში იყო.



ჩაკ ჰეგელის კანდიდატურის განხილვას სენატში ორიოდ კვირის წინ „რესპუბლიკელებმა“ არ დაუჭირეს მხარი და მიზეზად ისრაელისა და ირანის მიმართ მისი პოზიცია დაასახელეს.

66 წლის ჩაკ ჰეგელი თავდაცვის მდივნის პოსტზე ლეონ პანეტას ჩაანაცვლებს, რომელიც უწყებას თითქმის 4 წელი ხელმძღვანელობდა.

ჰეიგელს ბევრი სადავო კანდიდატს უწოდებდა აშშ-ის თავდაცვის უწყების პოსტზე. ის ხშირად სკანდალური განცხადებებით გამოდიოდა, მაგალითად, აცხადებდა, რომ „ჰეზბოლასთან“ საჭიროა დიალოგი ისე, როგორც ირანის ხელისუფლებასთან. ვიეტნამის ომის ვეტერანი თავს უფლებას აძლევდა აშშ-ის სტრატეგიული მოკავშირე, ისრაელი გაეკრიტიკებინა, ითხოვდა არმიიდან ჰომოსექსუალების გაყრას.

ჩაკ ჰეიგელი, მხოლოდ ამაში არ დაუდანაშაულებითა მისი კარიერის მანძილზე. ის ოპონენტებმა რამდენჯერმე ანტისემიტიზმშიც ამხილეს. პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ოპონენტების პოზიცია არ გაიზიარა და ჰეიგელი იანვრის დასაწყისში მინისტრის პოსტზე წარადგინა. ჩაკ ჰეიგელი 1997-2009 წლებში სენატორი იყო ნებრასკას შტატიდან. მის კანდიდატურას 2008 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის პოსტზეც განიხილავდნენ.

ჩაკ ჰეიგელი პირველი თავდაცვის მინისტრია, რომელიც ვიეტნამის ომის ვეტერანია. მას აქვს აგრეთვე მიღებული საბრძოლო ჭრილობებიც, რითიც ასევე ვერ დაიკვეხნის აშშ-ს თავდაცვის ბევრი მინისტრი. ბოლო წლებში ჩაკ ჰეიგელი ...

# ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები დღესაც გრძელდება



ყაზახეთის ქალაქ ალმაათაში ირანსა და ე.წ „ექვსეულს“ შორის ქვეყნის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები დღესაც გრძელდება.

როგორც ოფიციალური პირები აცხადებენ, მოლაპარკებების პირველი დღე საკმაოდ „ნაყოფიერი“ იყო. „როიტერის“ ცნობით, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების წარმომადგენლები იმედოვნებენ, რომ დღეს ირანი მათ შემოთავაზებას დადებითად უპასუხებს. ე.წ „ექვსეულის“ ქვეყნებმა, სადაც შედიან ამერიკა, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და ჩინეთი, ირანს ბირთვული საქმიანობის შეწყვეტის სანაცვლოდ სანქციების შერბილება შესთავაზეს.

„მსოფლიოს წამყვანი ქვეყნის მმართველები ირანს ოქროთი და ნავთობით ვაჭრობაზე დაწესებული სანქციების შემსუბუქებას სთავაზობენ, თუ ეს უკანასკნელი შეწყვეტს ბირთვულ სამუშაოებს“, – ამის შესახებ როიტერი იუწყება.

„ჩვენ ხელსაყრელი წინადადება მოვუმზადეთ ირანს. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა რეაქცია ექნება ირანს განახლებულ შეთავაზებაზე“, – განაცხადა ევროკავშირის წარმომადგენელმა საგარეო საქმეებში მაიკლ მანმა.

შეგახსენებთ, დასავლეთი შიშობს, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნას ცდილობს, ირანი თავის მხრივ ირწმუნება, რომ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა მას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდება.

# ავღანეთში ანტიამერიკული მსვლელობა გაიმართა

გუშინ, ავღანეთის პროვინცია ვარდაკში ანტიამერიკული მსვლელობა გაიმართა. ხუთასამდე ადამიანის ქუჩაში გამოსვლის მიზეზი, ცოტა ხნის წინ, ქვეყნის მთავრობის მიერ ამერიკის სპეციალური ძალების მკვლელობებსა და წამებაში დადანაშაულება გახდა.

პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის ოფისმა კვირას გაავრცელა განცხადება, სადაც საუბარი იყო, რომ ვარდაკის პროვინციაში ადამიანის გატაცებების, წამებებისა და მკვლელობების უკან, შესაძლოა, ამერიკის სპეციალური ძალები დგანან.

დემონსტრანტები ყვიროდნენ: „სიკვდილი ამერიკას“, „სიკვდილი ობამას“, „სიკვდილი ამერიკის სპეციალურ ძალებს“. დემონსტანტები ამერიკელი ჯარისკაცების ქვეყნიდან დაუყოვნებლივ გასვლას მოითხოვდნენ. მათი თქმით, თუ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ისინი „თალიბანს“ შეუერთდებიან.



შეგახსენებთ, რომ ყარზაის ადმინისტრაციამ ამერიკის ძალებს მოუწოდა ორი კვირის განმავლობაში დატოვონ ვარდაკის პროვინცია.

„როიტერის“ ცნობით, ამერიკის თავდაცვის უწყების წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ ავღანეთის თავდაცვის უწყებისა და სადაზვერვო სააგენტოებთან თანამშრომლობით ირკვევა, რომ ამ ბრალდებებთან დასავლეთის ძალებს არავითარი კავშირი არ აქვთ.

აშშ-ის სპეცდანიშნულების ჯარების სპიკერის განცხადებით კი, გამოძიებული იქნება ყველა ბრალდება.

ერთი კვირის წინ, კუნარის პროვინციაში, 10 მშვიდობიანი მოსახლის გარდაცვალების შემდეგ, ჰამიდ ყარზაიმ ავღანეთის ჯარებს აუკრძალა უცხოეთის ჯარების გამოძახება და დასახლებულ პუნქტებში ავიაშეტევების განხორციელება.

„ჩვენი ჯარები საჰაერო მხარდაჭერას ვთხოვთ უცხოელებს, რის შემდეგაც ბავშვები იღუპებიან“, – განაცხადა ავღანეთის პრეზიდენტმა.

# ლავროვმა კერისთან პირველ შეხვედრას კონსტრუქციული უწოდა

დასაწყისი მე-10 გვერდზე

სტრემისტები პრეზიდენტ ბაშარ ასადთან დიალოგს ბლოკავენ, რადგან არარეალურ მოთხოვნებს აყენებენ.

რუსეთის საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელის თქმით, ჯონ კერისთან მოლაპარაკებები იყო კონსტრუქციული. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, ვიქტორია ნულანდმა მას „სერიოზული სამუშაო შეხვედრა“ უწოდა და განაცხადა, რომ შეხვედრის ნახევარი სირიის სამოქალაქო ომს დაეთმო.

მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი და ვაშინგტონი ასადის რეჟიმის მომავალს განსხვავებულად უყურებენ, ამ შემთხვევაში მათ მსგავსი პოზიცია დააფიქსირეს. ორივე მხარე თვლის, რომ ოპოზიციამ და ხელისუფლებამ დიალოგი უნდა გამართოს.

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა განცხადება, რომ შეხვედრაზე კერი შეეცდება ლავროვი დაარწმუნოს, რათა სირიის კრიზისთან მიმართებაში მოსკოვმა პოზიცია შეიცვალოს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, ჯონ კერიმ თავისი პირველი უცხოური ტურნე ლონდონში, 25 თებერვალს დაიწყო. ტურნეს ფარგლებში ის ევროპის და ახლო აღმოსავლეთის ათ ქვეყანას მოინახულებს, სადაც სირიის სიტუაცია იქნება განხილული.

რუსეთის პირველ დიპლომატთან შეხვედრამდე კერი გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ გვიდო ვესტერველეს და ქვეყნის კანცლერ ანგელა მერკელს შეხვდა.

*მოამზადა ვერა მამულაშვილმა*

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 28 თებერვალი**

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.05 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 დ/ფ „ როგორ შეგვქმნა დედამიწამ„ 17.00 „ჩვენი ფერმა„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 19.05 ტ/სერ „სიყვარულის კოცნა„ 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „სასიკვდილო იარაღი - 4„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 5 ნაწ. 14.00 დ/ფ „სიცოცხლე„ I ნაწ. 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა„ 6 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ I სერ. 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა„ 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე„ 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 9 სერ. 13.00 სერ. „24 – 5„ 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 15.35 რომ გადახვალ, გააჩერე 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „რა სურთ ქალებს„ (მ.გიბსონი) 00.30 სერ. „ღვინის გზა„ 01.05 მხ/ფ „პირდაპირი მოქმედება„ (დ.ლუნდგრენი) 02.40 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ„ერთგულების ძალა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ „დღეს ღამე უთენებია„ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „თბილისის თავგადასავალი„ 11.15 ჩვენი ტრაპეზი 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ II ნაწ. 13.25 კონცერტი-სამი ვარსკვლავი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 მხ/ფ „ჩრდილი გზაზე„ 17.30 დოკ/ფ „ტაოკლარჯეთი„ IV ნაწ. 18.10 გახსენება-რამაზ ჩხიკვაძე 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „დათა თუთაშხია„ III ნაწ. 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.20, 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „დიდი ქალაქის ჩირაღდნები„

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა (დილის პროგრამა) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, თავისუფალი დრო 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0,30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30,1.15 თოქ-შოუ „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„ 0.00 4.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


28 თებერვალი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6563 |
| ევრო | 2,1871 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5267 |
| 100 რუსული რუბლი | 5,4556 |

**ამინდის პროგნოზი 28 თებერვლისთვის**





# მათთვის, ვინც ვერ მოახერხა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის 4-ტომეულის შეძენა!







22 თებერვლიდან გაიყიდება
**პირველი და მეორე ტომები**

1 მარტიდან
**მესამე ტომი**

5 მარტიდან
**მეოთხე ტომი**







**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**ინფორმაციისთვის დარეკეთ 294-02-55**


## ასტროპროგნოზი 28 თებერვლისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კური** – ფული გაქვთ, მეტს იშოვით. **ტყუპები** – მეგობრების წრეში კარგად გაერთობით. **კირჩხიბი** – გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის საჩუქარი ჩამოაქვს. **ლომი** – ახალი პროექტი გაამართლებს, ფული არ შემოგაკლდებათ. **ქალწული** – იმოძრავეთ, არ მოდუნდეთ. **სასწორი** – მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ, თავს მიხედეთ. **ღრიანკალი** – ფულსაც იშოვით და ახალ სამსახურსაც. **მშვილდოსანი** – სამსახურში სიახლე დაგხვდებათ, ოჯახში დიდი ბედნიერება გელით. **თხის რქა** – ამაგი დაგიფასდებათ, თანაც ძალიან მალე. **მერწყული** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმე კარგად დაბოლოვდება. **თევზები** – ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ამერიკული, ზებგერითი, სამხედრო სადაზვერვო თვითმფრინავების სერია; 2. ლუდის დასაყენებელი ჭურჭელი ფშავ-ხევსურეთში; 3. ტბა აფხაზეთში; 5. რომის პაპის დიპლომატიური წარმომადგენელი; 6. სამხრეთ კორეის დედაქალაქი; 7. ისრაელის პარლამენტი; 11. შენიშვნა-განმარტება ნაბეჭდ ტექსტში; 13. ნახევარკუნძული ევროპაში; 14. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური პოლონეთში; 16. ძველი ეპოქის, შორეული წარსულის ნივთი, ორგანიზმი, გადმონაშთი; 17. წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდება ზოგიერთ სახელმწიფოში; 19. ცირკის მოედანი; 20. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია.

**შვეულად:** 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. დაბალი ხის მაგიდა; 8. ნაქსოვი ფეხსამოსი; 9. დამრიგებელი, სულიერი მოძღვარი ინდოეთში; 10. დუმფარასნაირთა ოჯახის, წყლის ყვავილოვანი მცენარე; 12. გზის საფარი; 14. დიდი საცეკვაო საღამო, მეჯლისი; 15. მაიმუნის ერთ-ერთი სახეობა; 16. სილვესტერ სტალონეს კინოპერსონაჟი; 18. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. კიდულ ლიანდაგზე მოძრავი, ტვირთის ასაწევი მოწყობილობა; 23. აზოტმჟავას მარილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## რამაზ ჩხიკვაძე 85 წლის გახდებოდა

ეკა ირემაშვილი

28 თებერვალი რამაზ ჩხიკვაძის დაბადების დღეა. მას 85 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღთან დაკავშირებით მის მშობლიურ რუსთაველის თეატრში მსახიობის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართება, რომელშიც მონაწილეობას მისი კოლეგები მიიღებენ. ხსოვნის საღამო რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე ჩატარდება და მასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეეძლება.

როგორც „ახალ თაობას" რუსთაველის თეატრში განუცხადეს:

– ეს არ არის მასშტაბური საღამო, ჩვენ ამ იუბილეს გრანდიოზულად არ აღვნიშნავთ. რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე შეიკრიბებიან რამაზ ჩხიკვაძის მეგობრები, ახლობ-



ლები, გულშემატკივრები, ყველა ის ადამიანი მოვა, ვინც მას კარგად იცნობდა და ისაუბრებს მასზე. წარმოდგენილი იქნება ფრაგმენტები გადაცემიდან „აუდიტორია – რამაზ ჩხიკვაძეზე", რომელიც 1998 წელს არის გადაღებული. მისი ავტორები არიან ლილი კოპლატაძე და ია შერაზადიშვილი. გადაცემაში რამაზ ჩხიკვაძე თვითონ საუბრობს საკუთარ ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. 90-იან წლებში ჩაწერილი

მონოლოგის დასასრულს უკვე სცენა მის ახლობელ ადამიანებს დაეთმობათ.

რამაზ ჩხიკვაძე არაერთი პრიზისა და ჯილდოს მფლობელია. იგი საქართველოს დამსახურებული არტისტი, მარჯანიშვილის სახელობის პრემიის, რუსთაველის სახელობის პრემიის, ღირსების ორდენის, პოლიკარპე კაკაბაძის პრემიის მფლობელია, მას მიენიჭა „საუკუნის ლეგენდის" საპატიო წოდება და მიხეილ თუმანიშვილის სახელობის პრიზი.

რამაზ ჩხიკვაძის დაბადების დღეს აღნიშნავს ეროვნული არქივიც. საგამოფენო დარბაზში გაიხსნება რამაზ ჩხიკვაძის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა „რამაზ ჩხიკვაძე – 85 ფოტო ალბომისათვის".

როგორც ეროვნული არქივის წარმომადგენელი თეა ქიმერიძე აცხადებს, დამთვალიერებელს საშუალება ექნება იხილოს რამაზ ჩხიკვაძის თეატრალური და კინოროლების, რეპეტიციებისა და შეხვედრების ამსახველი ფოტოები ორი კვირის განმავლობაში.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ბერეკაშვილი და კუპატაძე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იმსაჯებენ



სლოვენიაში სექტემბერში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე ქართველი არბიტრი იმსაჯებს. საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში ფიბა-ევროპიდან მოსული წერილის თანახმად ევრობასკეტ 2013-ის მატჩებს დავით ბერეკაშვილი მოემსახურება.

ბერეკაშვილი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უკვე მეორედ იმსაჯებს. პირველად ის ლიტვაში, 2011 წლის ჩემპიონატზე გამოიძახეს, სადაც 5 პირველი ჯგუფური ეტაპის 5 მატჩი იმსაჯა. თუ რამდენ მატჩს მოემსახურება სლოვენიაში ბერეკაშვილი, ეს მოგვიანებით, ევრობასკეტის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე გადაწყდება.

ბერეკაშვილთან ერთად კონტინენტის პირველობას, ოღონდ ქალთა შორის, მაკა კუპატაძეც განსჯის. ფიბა-ს არბიტრი კუპატაძე სისტემატიურად მსაჯობდა ქალთა ევროტურნირებსა და ასაკობრივ ჩემპიონატებზე, ახლა კი მას კონტინენტის პირველობის მატჩების მომსახურებაც მოუწევს, რომელიც 15-30 ივნისს საფრანგეთში გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

## ჩინეთის პარლამენტს გაეროს კონვენციის რატიფიცირებას სთხოვენ

ჩინეთში ასობით გამოჩენილმა ადამიანმა ხელისუფლებას სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის რატიფიცირების თხოვნით მიმართა.

პეტიციის ტექსტში საუბარია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ გაეროს ამ დოკუმენტის რატიფიცირებით ქვეყანაში კანონის უზენასობა გაძლიერდება და აღნიშნული ადამიანის უფლებების დაცვასაც შეუწყობს ხელს. მიმართვაში საუბარია, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ჩინეთის საზოგადოებას კოლაფსი ემუქრება.



როგორც ჩინეთში მყოფი „ბი-ბი-სის" კორესპონდენტი აღნიშნავს, პოლიტიკური რეფორმების მორიგი მოწოდებით ჩინეთის ახალ ხელისუფლებას სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენლების კრების სესიის გახსნამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე მიმართეს.

ჩინეთის საკანონმდებლო ორგანო, სრულიად ჩინეთის წარმომადგენელთა კრება 2987 წევრისგან შედგება (მსოფლიოში უდიდესი პარლამენტი).

სახალხო რესპუბლიკა გამოაცხადა მაო ძე-დუნმა 1949 წელს, მიღებულ იქნა საბჭოური ტიპის კონსტიტუცია. 1971 წლიდან გაეროს წევრია. 80-იან წლებში კომუნისტმა-რეფორმატორებმა გაატარეს ეკონომიკური რეფორმები და ჩინეთმა გიგანტური ნაბიჯებით იწყო წინსვლა, გაუმჯობესდა ურთიერთობა მრავალ ქვეყანასთან. რეფორმები არ შეხებია პოლიტიკურ სისტემას და თავისუფლებებს. ცენტრალურ ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები აქვს ტაივანთან და ტიბეტთან ურთიერთობებში.

მოამზადა გვრა მამულაშვილმა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი